პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თაობაზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible] რაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“ [illegible]
განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ცნობებით—25 კ. სამგლოვიარო—[illegible] დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. [illegible]
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—86.

დღეს

— საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი კაიო ლონდონში ჩავიდა.
— დაიღუპა ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრი მეიეროვიცი.
— [illegible] ინგლისის ჯარების [illegible] ლი-სტაკის [illegible].
— [illegible] მოელიან არაბთა ტომების ახალ აჯანყებას.
— ჰელსინგფორსში (ფინეთი) ჩავიდა შვეციის მეფე.
— საკავშირო პროფსაბჭომ მიიწვია ფრანგ მუშების დელეგაცია.

სამშაბათი, 25 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 193 (1348)

ყვითელი ინტერნაციონალის კონგრესი

მარსელში (საფრანგეთი) 23 აგვისტოს გაიხსნა მეორე „სოციალისტური“ ინტერნაციონალის კონგრესი. დეპეშამ უკვე გადმოგვცა მისი პირველი სხდომის ანგარიში.

მეორე ინტერნაციონალს ტყუილად კი არ უწოდებს მინისტრების ინტერნაციონალი: მას მეთაურობენ ბურჟუაზიულ მთავრობათა ყოფილი თუ მომავალი მინისტრები—„სოციალისტები“ და იგი არსებითად ამ მთავრობათა პოლიტიკის გამტარებელია მუშათა კლასში.

კონგრესი გახსნა მისი უდიდებულესობის, ინგლისის მეფის ყოფ. მინისტრმა ჰენდერსონმა. მას ესწრებიან აგრეთვე გერმანიის ყოფ. მინისტრები—შეიდემანი და მიულერი, „თვით“ ვანდერველდე ვერ გამოცხადდა, რადგან მას, როგორც ბელგიის მეფის ეხლანდელ მინისტრს, არ სურს აწყენინოს თავის მთავრობას და „უხერხულ“ მდგომარეობაში ჩავარდეს კონგრესზე.

ჩვენ დღეს გვინდა შევეხოთ ჰენდერსონის გამოსვლებს.

მან განაცხადა, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი ლაპარაკობს შვიდი მილიონი მშრომელების სახელით, აქვს 350 ყოველდღიური გაზეთი და უკანასკნელ არჩევნებში მიიღო 28 მილიონი ხმა.

ყვითელი ინტერნაციონალის ძალები აქ, რა თქმა უნდა, ძალიან გაზვიადებულია. საქმე ამაში არ არის. მაგრამ მარტო რიცხვს არა აქვს მნიშვნელობა, ცხადია. ერთი ვიკითხოთ, რას წარმოადგენს იგი თავისი სოციალური შემადგენლობის, ორგანიზაციული წყობის და მთლიანობის მხრით?

უტყუარი ფაქტია, რომ მეორე ინტერნაციონალის პარტიებში მეტად დიდ პროცენტს შეადგენენ „ჩინოვნიკები“, მუშების ზედაფენები, მათი გაბიუროკრატებული ნაწილი და წვრილი ბურჟუაზია.

კავშირი მეორე ინტერნაციონალში შემავალ პარტიებ შორის უფრო ინფორმაციულ ხასიათისაა და მის ხელმძღვანელ ორგანოს დადგენილებებს არა აქვთ სავალდებულო ხასიათი მათთვის. ეს იმიტომ, რომ ყოველი ქვეყნის პარტია გამოდის თავისი „სამშობლოს“, ე. ი. ბურჟუაზიის, და არა მსოფლიო პროლეტარიატის, ინტერესებიდან. ამიტომ წინააღმდეგობანი, რომელნიც არსებობენ ცალკე ბურჟუაზიულ ქვეყნებ შორის, პოულობენ აშკარა გამოხატულებას ამ ინტერნაციონალშიაც.

მაგრამ ერთი წუთით სავსებით დავუჯეროთ ჰენდერსონს, რომ მეორე ინტერნაციონალი უძლიერესი ორგანიზაციაა, რომ მასში შეკავშირებულია 7 მილიონი მშრომელი, რომ მას ემხრობა 28 მილიონი ამომრჩეველი. რისთვის იყენებს ასეთ ძალას ეს ორგანიზაცია? ჰენდერსონმა განაცხადა, რომ კაპიტალისტური წყობილება არ არის შერყეული, პირიქით, ომის შემდეგ კაპიტალიზმი განმტკიცდა. კაპიტალიზმის ნაწილობრივ და დროებით სტაბილიზაციას ჩვენც ვაღიარებთ, მაგრამ იმის თქმა, რომ კაპიტალისტური წყობილება არ იყოს შერყეული, ეს მხოლოდ „სოციალისტების“ ტკბილი ფანტაზიაა, და არა სინამდვილე. განა ამას არ მოწმობენ თუ გინდ უკანასკნელი სოციალური კონფლიქტები ინგლისში და უამრავი სხვა ფაქტები? მაგრამ ჰენდერსონების სურვილია—კაპიტალიზმი ურყევი იყოს, მუდმივად არსებობდეს, რადგან ამაზეა დამოკიდებული მეორე ინტერნაციონალის პარტიების ცხოველმყოფელობა და გავლენა მუშათა კლასზე. სოც.-დემოკრატია არის ბურჟუაზიის „მესამე პარტია“ და იგი დაინტერესებულია ბურჟუაზიული რეჟიმის განმტკიცებაში. და სწორედ ამას ახმარენ ჰენდერსონები მეორე ინტერნაციონალის ძალებს.

სხვათა შორის, ეს სჩანს მათი დამოკიდებულებისაგან ერთა ლიგისადმი. ერთა ლიგა წარმოიშვა ვერსალის „ზავის“ ნიადაგზე და იგი ომში გამარჯვებულ სახელმწიფოების ორგანიზაციაა, მათი ძალადობის და მტაცებლობის კვერის დამკვრელი დაწესებულებაა. ჰენდერსონი კი აღიარებს, რომ სწორედ ეს ერთა ლიგაა თურმე მოწოდებული გააერთიანოს ყველა ქვეყნები მშვიდობიანობის საქმისათვის. უტიფრობა, მუშათა კლასისადმი გამცემლობა ამაზე შორს ვერ წავა. უჭერს რა მხარს ერთა ლიგას, მეორე ინტერნაციონალი ადასტურებს დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკას.

ავიღოთ ბურჟუაზიულ მთავრობაში „სოციალისტების“ შესვლის საკითხი. ეს არის არა პრინციპის საკითხი, არამედ დამოკიდებულია მხოლოდ თვითეულ ქვეყანაში არსებულ პირობებზეო, აცხადებს ჰენდერსონი. ხოლო უდეგესტი, ამსტერდამის გაერთიანების წარმომადგენელი, ესალმება მინისტრ-სოციალისტებს მათი „თავდადების გამო მუშათა ინტერესებისათვის“. ბურჟუაზიასთან კოალიციაში შესვლა მუშების მოსატყუებლათ, მათი რევოლიუციონური ნებისყოფის მოსადუნებლად „მუშათა ინტერესებისათვის თავდადება“ ყოფილა! ეს „პრინციპის საკითხი არ არის“, რათა ამით საშუალება მიეცეთ „სოციალისტებს“ მიიღონ ბურჟუაზიის წყალობა, მინისტრის პორტფელი, როცა ამას იგი თავისთვის საჭიროდ დაინახავს.

ჰენდერსონს მაინც არ ავიწყდება, რომ ის მუშათა კლასის „წარმომადგენელია“ და მოუწოდებს მეორე ინტერნაციონალის ყველა პარტიებს ბრძოლისაკენ მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სასტიკი რეპრესიების რეჟიმის წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყნებში (რა თქმა უნდა, აქ ინგლისი არ შედის). ჰენდერსონი—გულჩვილი და ჰუმანიური კაცია. მხოლოდ, რაში უნდა გამოიხატოს ეს ბრძოლა, ამაზე იგი გაჩუმებას არჩევს. არა რევოლიუციონურ მოქმედებაში, რა თქმა უნდა. ასეთი შეცდომისაგან ღმერთმა დაიფაროს იგი! ცხადია, რომ ჰენდერსონის „მოწოდება“ უბრალო სიტყვიერებაა, კორიანტელის დაყენებაა გულუბრყვილოთა დასაბრმავებლად.

ჰენდერსონი საბჭოთა კავშირსაც არ ივიწყებს და, რა თქმა უნდა, როგორც ნამდვილი „დემოკრატი“ ილაშქრებს მშრომელთა დიქტატურის წინააღმდეგ.

ამ თავითვე შეიძლება ითქვას, რომ „სოციალისტური“ კონგრესის მუშაობა ჩატარდება საბჭოთა ხელისუფლების და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშან ქვეშ. რა უყოთ, მეორე ინტერნაციონალს ასეთი როლი აქვს დაკისრებული თავისი ბატონ-პატრონ—მსოფლიო ბურჟუაზიისაგან!

ორი წლის თავზე

ამას წინათ დასრულებულ პარტიულ კომიტეტის გასამართლებაზე მენშევიკურ პარტიის ერთი თვალსაჩინო წევრი გულდათუთქული მოუთხრობდა სასამართლოს, რომ შარშანდელმა აგვისტოს გამოსვლებმა დაიგვიანა, რომ მენშევიკურმა პარტიამ მაშინ იტაცა იარაღზე ხელი, როცა მას ამის ძალა და ილაჯი აღარ ჰქონდა, როცა ის აღარ არსებობდა, როგორც მასიური პარტია.

ამ გულდამწვარ მენშევიკის აზრით შეიარაღებულ გამოსვლების მოხერხებულ დროის უკანასკნელმა ზარმა 1923 წელში ჩამოჰკრა. ამ წლის დასაწყისში პარტიისადმი იჭვიანობამ და უნდობლობამ განსაკუთრებით გაიდგა ფესვი და ის გამოიხატა ამავე წლის 25 აგვისტოს ყრილობაში, როცა ქართულ სოციალ-დემოკრატიას ზურგი აქცია და საბოლოოთ მიატოვა ათეულ ათასმა მუშა და გლეხმა.

ჩვენც კარგად გვახსოვს ეს დრო. ქართული მენშევიზმის საბედისწერო დატა, 1923 წლის 25 აგვისტო, რასაკვირველია, ისე ხელოვნური და მოგონილი რიცხვი არ ყოფილა, როგორც შემდეგი წლის აგვისტოს „ხალხური“ აჯანყების დღეები. ის სტიქიურათ, ბუნებრივათ მოჰყვა იმ თავზე ხელაღებულ, მენშევიკურ [illegible] პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა ეს პარტია თავიდანვე და რომელმაც განსაკუთრებით მახინჯი, სულის შემხუთავი ხასიათი მიიღო საქართველოს გასაბჭოების დღეებიდან.

დანძღვა-გინების, ჭორების და ცილისწამების გუდა თავმოხსნილი იყო ამ ხანებში იმ ამხანაგების წინააღმდეგ, ვინც ათეულ წლების განმავლობაში იბრძოდენ სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ და რომელნიც წყევლა-კრულვით, ბედის გინებით გარბოდენ მენშევიკური კონტრ-რევოლიუციის შარიდან.

როცა ვერ გასჭრა ასეთმა ხერხმა, იმედდაკარგულ მენშევიკურ პარტიის ნამსხვრევებმა პროკლამაციების და არალეგალურ ფურცლების ნაცვლათ იარაღის ალაპარაკება სცადეს და რამდენიმე, საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსული, გულწრფელი მუშა სიცოცხლეს გამოასალმეს.

მაგრამ მშრომელი მასის სოციალურმა ბუნებამ, იმ მასის, რომელიც 1923 წლამდი კიდევ შერჩენოდა სრულ გახრწნის გზაზე მდგომ მენშევიკურ პარტიას, თავისი გაიტანა. მასთან ბრძოლაში უსუსური და უნაყოფო გამოდგა ისეთი საშუალებანი, რომელსაც მიმართავდა უფსკრულისაკენ მიმგორავი არალეგალური ცეკა.

დღეს ორი წელი გადის ამ ისტორიულ დღიდან, როცა ქართულ სოციალ-დემოკრატიას გამოეცალა მუშურ-გლეხური ჩონჩხი, როცა ის უძლური ლეშათ გადაიქცა და კიდევ უფრო სწრაფათ დაიშვა გახრწნის გზით.

მრავალი მათგანი, ვინც მენშევიკური პარტიის გაბრიყვებით, ან უნებლიე შეცდომით მტრულად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, დღეს ამ ხელისუფლების გვერდით დგას და მხურვალე მონაწილეობას ღებულობს საერთო აღმშენებლობაში.

თუ აქამდი ვისმე კიდევ ეჭვი ებადებოდა, ან რაიმე უნდობლობას ჰქონდა ადგილი მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა შესახებ, დღეს ეს შეხედულება სრულიად დამლეულია. ქართულ სოც.-დემოკრატიის ყოფილ წევრთა, განსაკუთრებით მის მშრომელ ნაწილის საბჭოთა ხელისუფლებასთან პოლიტიკური და ორგანიზაციული ასიმილიაციის, შესისხლხორცების ამოცანა თითქმის გადაჭრილია.

ამის თავდებია არა იმდენათ თვით ამ მასის მიერ ძველი გზის გულახდილათ და შეგნებულათ უარყოფა, რამდენადაც საზოგადოთ მენშევიზმის და კერძოთ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიის დღევანდელი იდეიური და ორგანიზაციული სიჩანაკე და უბადრუკობა.

მართლა გონებაზე ხელაღებული, ჭკუადაკარგული უნდა იყვეს ადამიანი, რომ მან მენშევიზმის სავანეში რაიმე რევოლიუციონურ საზრდოს პოვნა განიზრახოს და მის საკუთნაოებში სოციალიზმისათვის ბრძოლის იარაღების ძებნა დაიწყოს.

დღეს ბავშვმაც იცის რისთვის და ვის ებრძვის მენშევიზმი. დღეს ყველასათვის აშკარაა სად დასტოვა ამ პარტიამ ის მცირე, თვალის მოსატყუები რევოლიუციონური საგზალი, რომელიც მას თავის არსებობის პირველ ხანებში კიდევ ეკიდა და დღეს მოტვლეპილ, სრულიად გაშიშვლებულ კონტრ-რევოლიუციურ ზურგზე.

მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ მენშევიზმი, როგორც პოლიტიკურ ატმოსფერის მომწამლავი, საბჭოთა აღმშენებლობის შემაფერხებელი მოვლენა, სრულიად მოისპო და ჩვენთვის აღარ არსებობს.

მართალია ის გაჰქრა და განადგურდა როგორც მასიური, როგორც მშრომელთა ერთი ნაწილის პარტია, მაგრამ ამ შემადგენლობრივ ცვლილებასთან ერთად, ოდნავაც არ შეცვლილა ის გზა და მიმართულება, რომლითაც მიისწრაფოდა მენშევიზმი ოქტომბრის რევოლიუციასთან ბრძოლაში. ანუ უკეთ ის შეიცვალა, მაგრამ შეიცვალა იმ მხრივ, რომ ამ ბრძოლამ უფრო აშკარა, უფრო გულახდილი და პირწმინდა მოღალატეობის სახე მიიღო, ვიდრე ეს დღემდი იყო.

ქართული მენშევიზმი ჯერ კიდევ ცოცხალია, მისი მასაზრდოებელი სოციალური ნიადაგი კიდევ არის ჩვენში; ესაა უმთავრესად ის წელგატეხილი, ორთავ ბეჭებით მიწაზე განართხმული ელემენტები, რომლებიც ვერ ინელებენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობას და რომელთაც მშრომელთა ბატონობის სიძულვილი სამარეშიაც ჩაყვება.

სხვადასხვა ხერხით, მოულოდნელ მხრიდან ის კიდევ გვიწევს ჩვენ, ის თავს არ მოგვანატრებს. ეს თუნდაც იქიდან მტკიცდება, რომ საზღვარგარეთ მყოფი მენშევიკური ემიგრაციის არისტოკრატია დღესაც არ ყრის იარაღს. ის დღესაც მტრობისა და შურის ქსელს ზანდავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

1923 წლის აგვისტოს ყრილობამ კი წელში გასწყვიტა, სიცოცხლის ძარღვი ამოართვა ქართულ მენშევიზმს. მან მხოლოდ შეასუსტა ამ პარტიის წინააღმდეგობის უნარი, მაგრამ კიდევ უფრო გააძლიერა მისი ბოღმა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. დღეს ეს ბოღმა შინ დარჩენილ მცირერიცხოვან ავანტიურისტების და პარიზის ყავახანის მუდმივ სტუმრების გულში-ღა სცოცხლობს. მას აღარა ჰყავს მასიური მოსარჩლე და მიმდევარი.

მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ თვალი და ყური ფხიზლათ არ უნდა გვეჭიროს. მტერი მხოლოდ მოხერხებულ დროს უცდის.

ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური წინმსვლელობა იმის თავდებია, რომ ეს დრო მას არასოდეს არ დაუდგება.

კრნ.

სპეციალისტების საკითხი

თუ ჩვენი პარტიის ცეკამ ეხლა საჭიროდ დაინახა განსაკუთრებული დადგენილების გამოტანა სპეციალისტების შესახებ (იხ. გაზეთის დღევანდელი №), ეს არა იმიტომ, რომ ამ საკითხში ჩვენ ავიღეთ რაიმე პრინციპიალურად ახალი ხაზი. მი თავითვე ცხადი იყო, რომ მუშათა კლასს, რომელმაც ხელთ იგდო სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, მარტო თავისი საკუთარი ძალებით მეტად გაუძნელდებოდა წარმატებითი აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება; ჩვენს რიგებში, გასაგები მიზეზების გამო, ამისათვის მომზადებული პირები ცოტა მოიპოვებოდა. მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებია ძველი რეჟიმიდან დარჩენილი მცოდნე პირები. თუ წინედ უკანასკნელნი კაპიტალისტური მეურნეობის აპარატებს ხელმძღვანელობდნენ, საბჭოთა ხელისუფლებას უნდა ჩაება ისინი სოციალისტურ მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში ახალ საფუძვლებზე, მათი მონაწილეობით და გამოცდილებით უნდა გვესარგებლა მშრომელთა მიზნების განსახორციელებლად.

პირველ ხანებში ეს ადვილი საქმე არ იყო, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას შეჩვეული სპეციალისტების საგრძნობი ნაწილი ვერ შეეგუა მუშათა და გლეხთა ბატონობას, ალღო ვერ აუღო მომხდარ გადატრიალებას. მათ არ სწამდათ ახალი რეჟიმის მძლეობა. ზოგი მათგანი განზე გაუდგა გამარჯვებულ მუშათა კლასს, ზოგმა კი აშკარად მტრული პოზიცია დაიჭირა მის მიმართ. რა თქმა უნდა, ზოგნი იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ოქტომბრის პირველ დღეებიდანვე გვერდში ამოუდგენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

მეორე მხრივ, პარტიის და მუშათა კლასის ზოგიერთი ფენები ერთგვარი უნდობლობით უყურებდენ ინტელიგენციას, მათ შორის კვალიფიციურ ინტელიგენციასაც, რაც აიხსნებოდა არა მარტო სპეციალისტების მნიშვნელობის შეუგნებლობით, არამედ მათი წარსულის გათვალისწინებით და ოქტომბრის პირველ წლებში მათი ნაწილის არალოიალური დამოკიდებულებით პროლეტარიატის დიქტატურისადმი.

ამასთან, მაშინ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის წყალობით მეურნეობა დანგრეული იყო, საერთოდ მუშა-მოსამსახურეთ მეტად მძიმე პირობებში უხდებათ არსებობა და, ცხადია, მთავრობა ვერ მოახერხებდა სპეციალისტების ნივთიერად სავსებით უზრუნველყოფას. ეს გარემოება ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ინტელიგენციის უკმაყოფილების.

პარტიამ მიიღო გადაჭრილი ზომები სპეციალისტების და საერთოდ ინტელიგენციის მოსაზიდათ, მათ ჩასაბმელად აღმშენებლობაში. არა სხვა ვინმე, არამედ ამხ. ლენინი იყო, რომელმაც იმ თავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სპეციალისტების საკითხს. მისი მეთაურობით 1919 წ. პარტიამ მიიღო პროგრამული დადგენილება: „საწარმოო ძალების განვითარების ამოცანა მოითხოვს კაპიტალიზმიდან მემკვიდრეობად დარჩენილ მეცნიერების და ტეხნიკის სპეციალისტების დაუყოვნებლივ ფართო და ყოველმხრივ გამოყენებას“.

პარტია ამ ზოგად ხასიათის გადაწყვეტილებაზე არ შეჩერებულა. უმაღლესი პარტორგანოები ყოველთვის სცდილობდენ შეექმნათ სპეციალისტების მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები, გაეფანტათ უნდობლობა თუ მტრული განწყობილება მათსა და პარტიულ-მუშათა მასას შორის, თუ ასეთს სადმე ჰქონდა ადგილი, შეექმნათ მათ გარშემო ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფერა. ამავე დროს ხელისუფლება, ქვეყნის სამეურნეო აღორძინებასთან ერთად, ღებულობდა ზომებს სპეციალისტების ნივთიერი უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ, ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიკის გამოცოცხლებამ და ამასთან დაკავშირებით მშრომელთა, კერძოდ კი კვალიფიციური ინტელიგენციის კეთილდღეობის დონის აწევამ, სპეციალისტების მიმართ წარმოებულმა უაღრესად მეგობრულმა პოლიტიკამ უკანასკნელთა უდიდეს უმრავლესობაში მოახდინა ღრმა გარდატეხა და ისინი არა შიშის, არამედ სინიდისის ქვეშ ჩაებნენ საბჭოთა აღმშენებლობაში და თავის ცოდნა-გამოცდილებას ახმარენ ამ საქმეს.

მიუხედავად ამისა, სპეციალისტების საკითხი კვლავ წამოიჭრა და მან ჰპოვა გამოხატულება ცეკას დადგენილებაში. და ეს სრულებით არ მომხდარა შემთხვევით. ჩვენმა ეხლანდელმა მდგომარეობამ უფრო გაადიდა სპეციალისტების როლი სამეურნეო აღმშენებლობაში. ამ ჟამად ჩვენ განვიცდით მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, მთელი ეკონომიკის სწრაფ ზრდას. ჩვენ წინ გადაშლილია მეტად ფართე ამოცანები და პერსპექტივები. ჩვენი მიზანია წარმოების არა მარტო გაფართოვება, საწარმოო ძალების არა მარტო რიცხვობრივი გაზრდა, არამედ მთელი თავის სიგრძე-სიგანითაა წამოჭრილი საბჭოთა მრეწველობის პროდუქციის თვისების გაუმჯობესება. ასეთ პირობებში სპეციალისტს მეტი მუშაობა და პასუხისმგებლობა ეკისრება. ამისდამიხედვით საჭირო იყო მათი საქმიანობისათვის ნორმალურ პირობების შესაქმნელად მთელი რიგი დამატებითი პრაქტიკული ღონისძიებათა გამომუშავება, მათი უფლებრივი მდგომარეობის უფრო სწორად ჩამოყალიბება და მათი ნივთიერი კეთილდღეობის შემდეგი აწევა. და ცეკას დღევანდელი დადგენილება სწორედ ამ მიზანს ისახავს. იგი გამომდინარეობს ჩვენი დღევანდელი სამეურნეო მდგომარეობის თავისებურებიდან, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, და წარმოადგენს იმ საერთო ხაზის კონკრეტულ განვითარებას, რომელსაც იმ თავითვე ადგა პარტია სპეციალისტების მიმართ.

ვეხებით რა სპეციალისტების საკითხს, ჩვენ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „სპეციალისტს“, რომელიც თავის-თავად გარკვეულ ცნებას შეიცავს, პრაქტიკაში ხშირად მეტად ფართე შინაარსი და განმარტება ეძლევა. არა იშვიათად სპეციალისტებად ასაღებენ თავის თავს ისეთი პირები, რომელთაც საამისოდ არც ცოდნა შესწევთ, არც გამოცდილება „სპეციალისტები“ ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში ბლომად მოიპოვებიან და მათი შენახვა მძიმედ აწვება სახელმწიფოს. საჭიროა სპეციალისტების სასტიკი შერჩევა, ამ სახელწოდების და ამასთან დაკავშირებულ შეღავათების მიკუთვნება მხოლოდ იმათთვის, ვისაც ეს მართალა ეკუთვნის.

ამასთან, როცა სპეციალისტებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი, მშრომელთა წრეებიდან გამოსულ პირების მომზადებას სხვადასხვა დარგებისათვის. სპეციალური ცოდნის ხალხი ჩვენ საერთოდ ცოტა გვყავს. ძველი სპეციალისტები ყველაფერს ვერ გასწვდებიან, ესეც არ იყოს, მომავლისათვის ახალ-ახალი კადრებია საჭირო.

დღეს-დღეობით კი ჩვენ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ წინანდელი დროიდან დარჩენილი სპეციალისტები და მათი ნაყოფიერი მუშაობისათვის უნდა შევქმნათ ხელსაყრელი ნივთიერი, პსიხოლოგიური და უფლებრივი პირობები. ცეკას დადგენილებას ამ მხრივ უაღრესი მნიშვნელობა აქვს. მისი აზრი სავსებით უნდა შეითვისოს მთელმა პარტიულმა და უპარტიო მასამ.

ჯ.

ყვითლების ბანაკში

მარსელში გაიხსნა მეორე ინტერნაციონალის კონგრესი

ჰენდერსონი საბჭოთა კავშირის მშრომელთა „მოსარჩლეს“ როლში

უდეგესტი კმაყოფილია სოციალისტ-მინისტრების „ერთგულებით“ მუშათა კლასისადმი

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის მდივანი ტომ შოუ გადადგა.—აღმასკომის გენერალურ მდივნათ ადლერი აირჩიეს

მარსელში შესდგა „სოციალისტური“ ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი

მეორე ინტერნაციონალის კონგრესი

მარსელი, 23 აგვისტო. ორკესტრის მიერ შესრულებული მარშით გაიხსნა მეორე ინტერნაციონალის კონგრესი ჰენდერსონის თავმჯდომარეობით. კონგრესს ესწრება რამოდენიმე ასეული დელეგატი, რომელთა შორის არიან გერმანიის ყოფილი მინისტრები—შეიდემანი და მიულლერი და აგრეთვე საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გამოჩენილი ბელადები.

ჰენდერსონის სიტყვა

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ჰენდერსონმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი ლაპარაკობს შვიდი მილიონ მშრომელის სახელით, მას აქვს 350 ყოველდღიური გაზეთი და მან უკანასკნელი არჩევნების დროს მოაგროვა 28 მილიონი ხმა.

ჰენდერსონმა აღნიშნა, აგრეთვე, რომ მუშათა მთავრობები შედგენილი იყო ინგლისში, დანიაში, შვეციაში, ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყნებში კი სოციალისტები მონაწილეობას იღებენ მთავრობებში; ჰენდერსონმა ამასთანავე აღნიშნა, რომ სოციალისტურ მთავრობებს მრავალი დაბრკოლებები ელობებათ წინ, რადგან მათ არა აქვთ სრული ძალა-უფლება და ამავე დროს მათ ნდობით არა ეპყრობა ინტერნაციონალის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ, ჰენდერსონის აზრით, სოციალისტების მონაწილეობა მთავრობაში არ არის პრინციპის საკითხი, ის დამოკიდებულია მხოლოდ თვითეულ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე.

ჰენდერსონმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სოციალისტური პარტიების ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ დამთავრდა ჟენევის ოქმის გამომუშავებით, რომელიც, როგორც [illegible] საშუალება მშვიდობიანობის დასაცავად, უნდა დარჩეს მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკური მოღვაწეობის ცენტრში, რადგან ერთა ლიგა მოწოდებულია გააერთიანოს ყველა ქვეყნები მშვიდობიანობის დასაცავად.

შემდეგ ჰენდერსონმა განაცხადა, რომ კონგრესმა უნდა მოუწოდოს მეორე ინტერნაციონალის ყველა პარტიებს, რომ მათ იბრძოლონ მუშების საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სასტიკი რეპრესიების რეჟიმის წინააღმდეგ ჰუნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, სამხრეთ-სლავიაში, ლიტვაში, ესტონეთში, იტალიაში, რუსეთში და ჩინეთში. ჰენდერსონმა დაუმატა, რომ არ ივიწყებს აგრეთვე ინდოეთსაც, **მაგრამ მან არაფერი არ სთქვა [illegible] შესახებ.**

შეჩერდა რა თავისი სიტყვის ბოლოს ზოგიერთი ქვეყნების მდგომარეობაზე, ჰენდერსონმა განაცხადა, რომ პოლიტიკური პირობები რუსეთში, პროფკავშირების დელეგაციის ანგარიშის სიტყვებით, წარმოადგენს „ნახევართავისუფლებას“.

ჰენდერსონი ფიქრობს, რომ კაპიტალისტური წესწყობილება არ არის შერყეული, პირიქით, ომის შემდეგ კაპიტალიზმი განმტკიცდა. ჰენდერსონმა თავისი სიტყვა დაამთავრა მოწოდებით იმის შესახებ, რომ საჭიროა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ჰენდერსონის გამოსვლამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიწვია ტაში უმთავრესად ფრანგების და ინგლისელების მხრიდან.

ბრაკკეს სიტყვა.

მიესალმა რა კონგრესს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სახელით, ბრაკკემ განაცხადა, რომ პარტია ამაყობს იმ სტუმართმოყვარეობით, რომელიც გაუწიეს აღდგენილი ინტერნაციონალის პირველ კონგრესს. აღნიშნა რა, რომ საფრანგეთის წევრთა რიცხვი აღემატება ასი ათას კაცს, ბრაკკემ მხარი დაუჭირა ჰენდერსონის მოწოდებას ყველა ერებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვის შესახებ.

უდეგესტის მისალმება

ამსტერდამის ინტერნაციონალის სახელით გამოვიდა უდეგესტი, რომელმაც გულწრფელი სიხარული გამოსთქვა ინტერნაციონალის წარმატების გამო და მიულოცა ბელგიის, საფრანგეთის და სკანდინავიის სოციალისტებს ძლევამოსილი ბრძოლის წარმოება რეაქციის წინააღმდეგ. უდეგესტი ესალმება მინისტრ-სოციალისტებს იმის გამო, რომ ისინი „თავდადებულად იცავენ მუშების ინტერესებს“.

დასასრულ უდეგესტმა დაარწმუნა კონგრესი, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი დახმარებას გაუწევს მეორე ინტერნაციონალს მშრომელთა განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში, რომელიც ორივე ინტერნაციონალის თანამშრომლობის წყალობით უსისხლოთ განხორციელდება.

სხდომა დაიხურა ტურატის (იტალიის სოც.-დემოკრატიის წარმომადგენელი) და ადლერის სიტყვების შემდეგ.

ყვითლების ბანაკში

სოციალ-გამყიდველები ელაქუცებიან ფაშისტებს

რომი, 23 აგვისტო. ფაშისტურმა გაზეთმა „ეპოქამ“ მოათავსა საუბარი იტალიის შრომის რეფორმისტულ ფედერაციის მდივან დ'არაგონასთან. უკანასკნელი გამოსთქვამს თავის მოსაზრებებს ფაშისტების მიერ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის განზრახვის შესახებ. (საარჩევნო უფლების ნაცვლად კორპორაციების და პროფკავშირების წარმომადგენლობა, პროფკავშირზე სახელმწიფო კონტროლი და სხვ.).

დ'არაგონას აზრით საჭიროა ამ რეფორმების განხორციელება, რადგან მუშები განწყობილი არიან ფაშისტების წინააღმდეგ. მაგრამ რეფორმა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ შეიქნა სათანადო წინასწარი პირობები ფაშისტების და მუშების დაახლოვებისათვის.

ამ საუბრის გამო კომუნისტური გაზეთი „უნიტა“ სწერს, რომ დ'არაგონა ფაშისტების გულის მოსაგებად მიმართავს მორიგ თვალთმაქცობას. „უნიტა“ მოითხოვს დ'არაგონას გამორიცხვას ფედერაციიდან.

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის დადგენილება

მარსელი, 23 აგვისტო. მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომმა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიიღო დადგენილება აღმასკომის მდივნის შოუს გადადგომის შესახებ, ადლერი კი დასტოვა გენერალურ მდივნათ. ამავე დროს გადასწყდა აღმასკომის გადატანილ იქნას შვეცარიაში.

სოციალისტ-ქალთა კრება

მარსელი, 23 აგვისტო. 21 აგვისტოს ჩაიმართა სოციალისტ-ქალთა სხდომა 40 ქალის მონაწილეობით სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლიუცია ქალების და მამაკაცების უფლებრივად გათანასწორების შესახებ.

სოციალისტურ ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომა

მარსელი, 23 აგვ. 21 აგვისტოს შესდგა სოციალისტურ ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, 1926 წელს სამების დღესასწაულის დღეს მოეწყოს სოციალისტურ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

იმავე სხდომაზე ახალგაზრდობის ინტერნაციონალის შემადგენლობაში მიღებული იქნენ ინგლისის, რუმინეთის, ჰუნგრეთის და პოლონეთის ახალგაზრდათა ორგანიზაციები.

ჩინეთის ამბები

შანხაის პროფსაბჭოს დეპეშა.

ბერლინი, 23 აგვისტო. ბერლინში მოწვეულ კონგრესის „ხელები შორს ჩინეთისაგან“ პრეზიდიუმს მისასალმებელ დეპეშის საპასუხოთ მუშათა საბჭომ შანხაიდან გამოგზავნა სიმადლობელი დეპეშა, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩინეთის პროლეტარიატის სიმართლეს ფარავენ, მაშინ როდესაც ფართოდ ვრცელდება სიყალბე და ცილისწამება. საქმის ნამდვილ ვითარების გამოსარკვევად ჩვენ მოვითხოვთ გერმანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების პროფესიონალურ ორგანიზაციების დელეგაციის გამოგზავნას ჩინეთში“.

იაპონიის მოთხოვნილებანი.

ტოკიო, 23 აგვისტო. გაზეთი „ნიცი-ნიცი“ იუწყება, რომ მომავალ საბაჟო კონფერენციაზე იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს წამოაყენოს შემდეგი მოთხოვნილებანი: საბაჟო შემოსავლის გადიდება უნდა იქნას გამოყენებული უცხოეთში აღებულ ვალების დასაფარავად; ჩინეთმა უნდა მიიღოს ზომები სხვადასხვა პროვინციების საზღვრებზე საბაჟო გადასახადების გასაუქმებლად, საბაჟო შემოსავლის ნაწილი უნდა შევიდეს იოკაგამის სავალიუტო ბანკის დეპოზიტში; უნდა იქნას მიღებული ზომები იაპონიის საქონლისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესაწყვეტად; იაპონიის ექსპორტებს უნდა მიენიჭოთ შემდეგი სავაჭრო შეღავათები; იაპონელ წარმომადგენელთა რიცხვი ჩინეთის ნავთსადგურების საბაჟოებში გადიდებული უნდა იქნას.

გაფიცვა ხენ-ჩჟოუში.

პეკინი, 23 აგვისტო. ხენ-ჩჟოუში დაიწყო ხელახალი გაფიცვა სართავ ფაბრიკებში, სადაც მუშები მტკიცედ იცავენ თავიანთ ეკონომიურ მოთხოვნილებებს. მუშები მოითხოვენ აგრეთვე პროფკავშირის ცნობას. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 5.000 კაცი.

შანხაის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილე სასწრაფოთ გაიწვიეს ხენ-ჩჟოუში.

მოლაპარაკება იაპონიის გემების მეპატრონეებთან.

პეკინი, 23 აგვისტო. იაპონიის გემების მეპატრონეთა და ჩინეთის სავაჭრო პალატას შორის დაიწყო მოლაპარაკება იაპონიის გემებზე მეზღვაურების გაფიცვის ლიკვიდაციის შესახებ.

ლიაო-ჩჟუნ-კაის მოკვლის გამო.

პეკინი, 23 აგვისტო, ლიაო-ჩჟუნკაის მოკვლას ადასტურებს „რეიტერის“ სააგენტო და სხვადასხვა სააგენტოები. ლიაო-ჩჟუნ-კაი მოკლულ იქნა 5 კაცის მიერ იმ მომენტში, როდესაც ჩადიოდა ავტომობილიდან „გომინდანის“ ცენტრალურ კომიტეტის შენობის წინ.

დადის ხმები, რომ მკვლელობა ჩაიდინა „გომინდანის“ ანტიკომუნისტურმა ჯგუფმა. მოელიან გომინდანის მემარცხენე ფრთის სხვა ლიდერების მოკვლას. ამ თავდასხმას კანტონის წრეებში სთვლიან ინგლისის ინტრიგებად კანტონის მთავრობის წინააღმდეგ.

კაიო ლონდონში

ლონდონი, 23 აგვისტო. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი კაიო ჩავიდა ლონდონში ჩერჩილთან მოსალაპარაკებლად საფრანგეთის მიერ ინგლისში აღებულ სამხედრო ვალების შესახებ.

კაიოს განცხადება

პარიზი, 23 აგვისტო. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა კაიომ, რომელიც დღეს გაემგზავრა ლონდონში ჩერჩილთან მოსალაპარაკებლად, განაცხადა, რომ საფრანგეთი ისეთ წინადადებებს წამოაყენებს ლონდონში, რომლის შესრულებასაც ის შესძლებს. თავისი კეთილი სახელის დაცვის მიზნით საფრანგეთი შეასრულებს თავის ვალდებულებებს, მაგრამ ამავე დროს მას სახეში აქვს წარსულში მოპოვებული უფლებები.

კაიომ ხაზი გაუსვა, რომ ჩერჩილი ესმის ორივე ქვეყნის ინტერესები და სცდილობს სადავო საკითხების სამართლიანად გადაჭრას.

ომი მაროკოში

ფრონტზე

პარიზი, 23 აგვისტო. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება, რომ მარშალი პეტენი ჩავიდა კაზაბლანკაში, სადაც მას შეხვდა გენერალი ლიოტე.

მადრიდიდან მიღებული ოფიციალური ცნობით, ესპანელებმა გადასხეს დიდი რაზმი კუნძულ ალხუსემასზე. საფრანგეთის ჰაეროპლანებმა დიდძალი ყუმბარები ჩამოჰყარეს აჯირში. რიფებმა უპასუხეს ტყვიისმფრქვეველების ცეცხლით.

პრიმო-დე-რივერა ბრუნდება მადრიდში 23 აგვისტოს.

პარიზი, 23 აგვისტო. „ჰავასის“ სააგენტოს ოფიციალური ცნობით მადრიდიდან, ალხუსემასზე რიფების უკანასკნელ თავდასხმის დროს ესპანელებმა დაჰკარგეს 80 კაცი. ამასთანავე დაჭრილი იქნა გამაგრებულ რაიონის უფროსი მონასტირიო.

ფინეთის „რესპუბლიკაში“

მეფის შესახვედრათ ფულები აქვთ, მუშები სიმშილით კვდებიან

ჰელსინგფორსი, 23 აგვ. ჰელსინგფორსში ჩავიდა შვეციის მეფე.

ამის გამო ბურჟუაზიული პრესა დიდ აღტაცებას გამოსთქვამს. ფინეთის „სოციალ-დემოკრატი“ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მეფის შესახვედრათ გამართულ ცერემონიაში მონაწილეობას იღებდა ბურჟუაზიის კლასიური ორგანიზაცია (ფაშისტებმა). ჰელსინგფორსის თვითმართველობამ შეხვედრის მოსაწყობად გადასდო 200.000 ფინური მარკა (75.000 მ.).

„მუშათა ორგანიზაციების უწყებები“ აღშფოთებულია ამ ფაქტით და აღნიშნავს, რომ უმუშევრები არავითარ დახმარებას არ იღებენო.

მეიეროვიცის დაღუპვა

რიგა, 23 აგვ. ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრი მეიეროვიცი სასიკვდილოთ დაშავდა, როდესაც ის თავის ოჯახით ავტომობილით მიემგზავრებოდა ტუკკუმის მახლობლად (რიგის მადამოები). ავტომობილი გადაბრუნდა ხის ხიდზე, რომელიც ჩატყდა ზედმეტი სიმძიმის ქვეშ. მეიეროვიცი გადავარდა ავტომობილიდან და მიიღო სასიკვდილო ჭრილობა თავში.

გზაში მეიეროვიცი გარდაიცვალა.

მარსელის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენცია

პარიზი, 23 აგვისტო. მარსელში შესდგა ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც დამთავრდა დემონსტრაციით მარსელის ქუჩებზე.

პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები. ათი პოლიციელი ნაცემია, დემონსტრაციის ორი მონაწილე დაპატიმრებულია.

ფრანგ მუშების დელეგაციის მოწვევა

მოსკოვი, 24 აგვისტო. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ შრომის საყოველთაო უნიტარულ კონფედერაციას პარიზში გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც სთხოვს იკისროს ფაბრიკა-ქარხნების დელეგაციის შედგენა საბჭოთა კავშირში გასამგზავრებლად.

„კომუნისტი“ მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის

ერთი თვით პროფ-კავშირების წევრებისათვის თბილისში და პროვინციაში — 75 კ.

დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მ. ‖ პროვინციაში — 1 მ. 20 კ.

სპეციალისტების შესახებ

რ. კ. პ. ც. კ. დადგენილება

მოსკოვი, 28 აგვისტო. სახალხო მეურნეობის საერთო ზრდასთან დაკავშირებით, სპეციალისტების მუშაობისადმი მეტი მოთხოვნილების წაყენების გამო და მე-14 პარტ. კონფერენციის დირექტივის განსაკუთრებულათ მართვა-გამგეობის და მრეწველობის ხელმძღვანელობის საერთო სისტემაში ტეხნიკურ პერსონალის შრომის პირობების და მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ, ცეკამ განიხილა რა სპეციალისტების საკითხი, გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებათა მრეწველობაში, სასოფლო-მეურნეობაში, ტრანსპორტში და სამეურნეო და სახელმწიფოებრივ ცხოვრების სხვა დარგებში სპეციალისტების მუშაობის ნორმალურ პირობების უზრუნველსაყოფელად.

ამ ღონისძიებათა შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

ცეკამ საჭიროთ აღიარა გადაჭრილი ბრძოლა გამოეცხადოს სპეციალისტების ხელმოსმით კრიტიკას პარტიულ და პროფესიონალურ პრესაში და დამყარებული იქნას უფრო სერიოზული და საპასუხისმგებლო დამოკიდებულება სპეციალისტებისადმი, მაგრამ ამავე დროს საჭიროა საქმიანი კრიტიკა და მათ მუშაობაში ნამდვილი ნაკლულევანებათა აღნუსხვა.

ცეკა აღნიშნავს, რომ მოხდა უდიდესი გარდატეხა სპეციალისტების მნიშვნელოვან ჯგუფების დამოკიდებულებაში საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობისადმი და ამიტომ საჭიროთ სთვლის ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს პროფკავშირთა და მათ გაერთიანებათა საინჟინერო-ტეხნიკურ სექციების მოღვაწეობას. სპეციალისტების ყოფა-ცხოვრების და მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, ცეკას საჭიროთ მიაჩნია სათანადო საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების მიერ მთელი რიგი ღონისძიებათა გამომუშავება.

ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებათ ცეკა სთვლის: სასწავლებლებში სპეციალისტების შვილების შესვლის გაადვილებას, სპეციალისტების სათანადო სექციების წარმომადგენელთა მსაჯულებათ მიწვევას სასამართლოში სპეციალისტების საქმის გარჩევის დროს, სპეციალისტების საბინაო პირობების გაუმჯობესებას, მათთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭებას, სპეციალისტების მატერიალურად წაქეზების მიზნით ინდივიდუალურ და კოლექტიურ პრემიების შემოღებას წარმოების გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად ცეკამ საჭიროთ მიიჩნია სპეციალისტებისათვის განსაკუთრებულ სატარიფო განაკვეთის შემოღება იმ მიზნით, რათა მოისპოს პერსონალურ ხელშეკრულებათა სისტემა და რათა სპეციალისტები მიზიდული იქნან იმ წარმოებებში, რომლებიც დაშორებული არიან კულტურულ ცენტრებისაგან, სადაც განსაკუთრებით მწვავეა სპეციალისტების ნაკლებობა.

პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოებს დაევალა გააძლიერონ და გააღრმავონ სპეციალისტების პასუხისმგებლობა მათი მუშაობისათვის და ამავე დროს მიაქციონ ყურადღება, რათა მიზანშეწონილად იქნას განაწილებული ფუნქციები წარმოებათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს შორის და არ იქნას დაშვებული უსაფუძვლოთ პასუხისმგებლობის გადატანა დაწესებულების ხელმძღვანელისაგან სპეციალისტებზე და პირიქით.

„რ. კ. პ. ც. კ. სპეციალისტების შესახებ“

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი, 23 აგვისტო. „იზვესტია“ ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს,, რომელშიაც სწერს: „რ. კ. პ. ცეკას დადგენილებას სპეციალისტების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ეს დოკუმენტი ამყარებს ნორმალურ ურთიერთობას კლას-ჰეგემონს და მეცნიერების და ტეხნიკის იმ სპეციალისტებს შორის, რომელნიც ჩვენ გვიანდერძა კაპიტალიზმმა.

ჯერ კიდევ საბჭოთა შემოქმედებითი პროცესის დასაწყისში, როდესაც ლაპარაკიც არ შეიძლებოდა სერიოზულ, შემოქმედებითი მუშაობაზე, პარტიული კომუნისტური აზროვნება ლენინის ხელმძღვანელობით შეუდგა სპეციალისტების საკითხის გადაჭრას და რ. კ. პ. პროგრამის ერთ-ერთ მუხლად 1919 წ. გაზაფხულზე შეტანილი იქნა კომუნისტური მშენებლობის ხანგრძლივი პერიოდისათვის დირექტივა იმის შესახებ, „რომ საწარმოო ძალთა განვითარების ამოცანა მოითხოვს მეცნიერების და ტეხნიკის იმ სპეციალისტების დაუყოვნებლივ და ფართოდ გამოყენებას, რომელნიც ჩვენ კაპიტალიზმმა დაგვიტოვა მემკვიდრეობის სახით.“ ამ დირექტივის პრაქტიკაში გასატარებლად პროგრამა მოითხოვდა კომუნისტების მთელი მასისაგან, რათა რაციონალურად გამოეყენებია ეს სპეციალისტები“.

ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში

„ლიუმანიტე“ მოუწოდებს საპროტესტო დემონსტრაციისაკენ.

პარიზი, 23 აგვ. იუწყება რა გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის სიკვდილით დასჯის შესახებ, კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე“ წინადადებას აძლევს პარიზის პროლეტარიატს 27 აგვისტოს გამართოს საპროტესტო დემონსტრაცია პოლონეთის საელჩოს შენობის წინ.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება.

ბერლინი, 23 აგვ. გაზ. „როტე-ფანეში“ მოთავსებულია გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ პოლონეთის და გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი ერთნაირადაა აღშფოთებული გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის დახვრეტით.

მოსკოვის მუშების პროტესტი

მოსკოვი, 24 აგვ. პოლონელი კომუნისტების გიბნერის, რუტკოვსკის და კნიევსკის დახვრეტის ამბავმა აღშფოთება გამოიწვია მოსკოვის ყველა მუშებში.

22 აგვისტოს დღით მუშაობის გათავების შემდეგ გაიმართა მოსკოვის ყველა მთავარ ქარხნების რემედასის საორგანიზაციო უჯრედების საპროტესტო მიტინგი პოლონეთის მთავრობის ახალი ფაშისტური ბოროტმოქმედების გამო.

საპროტესტო დემონსტრაციები

მოსკოვი, 24 აგვ. ოდესაში, კიევში, კრემენჩუგში და უკრაინის სხვა ქალაქებში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის დახვრეტის გამო.

„რემედას“-ის მოწოდება

მოსკოვი, 23 აგვ. „რემედას“-ის აღმასკომის მოწოდებაში გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის დახვრეტის გამო ნათქვამია:

„ეს დახვრეტა ამტკიცებს, რომ პოლონეთის ბურჟუაზია მხეცურ ზომებს მიმართავს მუშათა კლასის, გლეხობის და ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ. მთელი მსოფლიოს მშრომელი მასებს არ შეუძლიათ გულგრილად უცქირონ ამ ფაქტს. ყველამ უნდა აღიმაღლოს ხმა ამ ახალ დანაშაულის წინააღმდეგ. ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა უნდა გაჰკიცხოს პოლონეთის მთავრობა, უნდა აამხედროს საზოგადოებრივი აზრი თეთრი ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში.

აღიმაღლეთ ხმა პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოებრივობის ერთ-ერთი საფუძველი გახდა და რომელმაც საუკეთესო ხელმძღვანელები გამოგლიჯა მუშათა კლასის რიგებს.

საპროტესტო მიტინგები

მოსკოვი, 24 აგვისტო. ხარკოვში, ვიტებსკში და სხვა ქალაქებში პოლონელ კომუნისტების—გიბნერის, რუტკოვსკის და კნიევსკის დახვრეტის წინააღმდეგ შესდგა საპროტესტო მიტინგები, რომლებზედაც გამოდიოდენ პოლონელი მუშები.

თათბირი საჰაერო მიმოსვლის შესახებ

სტოკჰოლმი, 23 აგვისტო. შვეციის მთავრობამ 15 სახელმწიფოს დაუგზავნა მიპატიჟება საჰაერო მიმოსვლის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება სტოკჰოლმში 28 სექტემბერს და განიხილავს საჰაერო მიმოსვლის საკითხებს. საბჭოთა კავშირი არ იქნა მიწვეული, მიუხედავათ იმისა, რომ საჰაერო კავშირი აქვს შვეციასთან: საჰაერო ხაზი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის უერთდება შვეციის საჰაერო ხაზი სტოკჰოლმ-დანციგი.

აღმოსავლეთი

ეგვიპტე

ლისტეკის მკვლელთა დასჯა სიკვდილით

ლონდონი, 23 აგვ. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით კაირიდან, ეგვიპტეს ჯარების სარდლის გენერალ ლი-სტეკის მკვლელობის 7 მონაწილე დღეს სიკვდილით იქნენ დასჯილი ჩამოხრჩობით, ერთ-ერთ მისჯილს ეგვიპტეს მეფემ შეუცვალა სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით, რადგან მისმა ჩვენებამ შესაძლებლად გახადა დანარჩენ მკვლელების დაპატიმრება.

სიკვდილით დასჯა 40 წუთს გაგრძელდა. იბრაგიმ მუსსამ ეშაფოტიდან დაიძახა: „გაუმარჯოს ზაგლულს“ ალი იბრაგიმი დამშვიდებით მღეროდა საგალობელს ყურანი დან.

ინდოეთი

საკანონმდებლო კრების თავმჯდომარე

ლონდონი, 23 აგვ. ნაციონალისტი პატელი არჩეულია საკანონმდებლო კრების თავმჯდომარეთ.

სპარსეთი

არაბთა ახალ აჯანყებას მოელიან

თეირანი, 23 აგვისტო. ხამადანში დაწყებულ მღელვარების გამო იტყობინებიან, რომ ხუზისტანში მზადდება არაბთა ახალი აჯანყება, რაც გამოიწვევს ინგლისის ჯარების შემოყვანას სპარსეთში.

სხვა და სხვა ამბები

— **თავდასხმა საფრანგეთის გუბერნატორზე.** „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, კუნძულ მარტინიკის (საფრანგეთის კოლონია ამერიკის სანაპიროებთან) გუბერნატორი დაჭრილ იქნა ოთხი ტყვიით იმ დროს, როდესაც გემში ჯდებოდა.

— **საბჭოთა კავშირის ფეიქართა დელეგაცია.** საბჭოთა კავშირის ფეიქართა დელეგაცია დარჩება ლონდონში კიდევ ერთი კვირა, რის შემდეგ გაემგზავრება საფრანგეთში.

— **ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა** დაგზავნა მისაპატიჟებელი ბარათები რადიო ტელეგრაფის კონფერენციაზე, რომელიც მომავალ გაზაფხულზე გაიმართება. კონფერენცია განიხილავს ლონდონში 1912 წელს მიღწეულ შეთანხმებას უმავთულო ტელეგრაფის შესახებ.

იმ სახელმწიფოებიდან, რომელთაც ხელი მოაწერეს ლონდონის შეთანხმებას, კონფერენციაზე არ არიან მიწვეული მხოლოდ საბჭოთა კავშირი და ეკვადორი, რადგან ისინი არ არიან ცნობილი ამერიკის მიერ.

— **ბელგიის კომისიის გამგზავრება.** ბელგიის მთავრობის კომისია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკა-ბელგიის ვალების მოწესრიგების შესახებ, ნიუ-იორკიდან ბელგიაში გაემგზავრა.

— **უცხოელ კომუნისტების გაძევება საფრანგეთიდან.** ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ კვლავ გააძევა 9 ბულგარელი, ორი ესპანელი და ორი იტალიელი კომუნისტი.

— **სარწმუნოებრივი ეთიკის წინააღმდეგ.** საფრანგეთის მასწავლებელთა კავშირის ყრილობამ (ეს კავშირი ემხრობა საფრანგეთის რევოლიუციონური პროფკავშირების გაერთიანებას), მიიღო რეზოლიუცია სარწმუნოებრივი ეთიკის წინააღმდეგ, რომელსაც ყრილობა ბურჟუაზიის ბატონობის იარაღს უწოდებს.

— **ჩეხის საფეიქრო მრეწველობაში.** ჩეხო-სლოვაკიის საფეიქრო მრეწველობაში კონფლიქტი მოგვარებულია. მუშებისა და მწარმოებლების წარმომადგენლები შეთანხმდენ და გააუქმეს დადგენილება გაფიცვისა და ლოკაუტის შესახებ. დაიწყო მოლაპარაკება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ.

— **ამერიკის მუშათა (კომუნისტური) პარტიის ყრილობა.** გაიხსნა ამერიკის მუშათა (კომუნისტური) პარტიის ყრილობა. ყრილობას ესწრებიან მექსიკისა და შვეციის კომპარტიის წარმომადგენლები.

— **მუშათა პრესის დევნა.** უნგრეთის მთავრობამ აკრძალა სოციალისტური პარტიის ყოველგვარი ლიტერატურული მოღვაწეობა.

— **ბეშიცკი გაანთავისუფლეს.** უნგრეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც უნგრეთის დიქტატორის ხორტის სოციალ-დემოკრატ შამადის მოკვლას აბრალებდა, ციხიდან გაანთავისუფლეს, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვებით.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 24 აგვისტო. კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა გადასწყვიტა მოიწვიოს კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი ოქტომბერში ამ ნოემბერში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რუსეთის პროფესორები იტალიაში

რომში ჩავიდა მოსკოვის პროფესორების და მასწავლებლების ექსკურსია, რომელსაც მხურვალეთ შეხვდა იტალიის პრესა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს არის საბჭოთა ინტელიგენციის პირველი კოლექტიური ჩამოსვლა იტალიაში და ხაზს უსვამენ ორივე ქვეყნებს შორის კულტურულ კავშირის განმტკიცებას.

პიატკოვსკის საქმე

მოსკოვი, 23 აგვისტო. დააპატიმრეს „არკოსის“ დირექტორი პიატკოვსკი, რომელსაც ბრალდება მექრთამეობა. გამოძიება მის საქმის შესახებ მალე დამთავრდება და საქმე გადაეცემა სასამართლოს.

მრეწველობის პერსპექტივები

მოსკოვი, 23 აგვისტო. ეკონომიურ საბჭოს პლენუმის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება მომავალ საოპერაციო წლის პერსპექტივების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ახალ საოპერაციო წელს ამუშავებული იქნება 500 სამრეწველო დაწესებულება. მრეწველობაში ჩაბმული იქნება 250 ათასზე მეტი ახალი მუშა. საშუალო ხელფასი უნდა გადიდებულ იქნას დაახლოვებით 13 პროცენტით.

მასწავლებელთა დელეგაცია ხარკოვში

ხარკოვი, 24 აგვისტო. 22 აგვისტოს საღამოთი ჩამოვიდა დასავლეთ ევროპის მასწავლებელთა დელეგაცია.

დელეგაციის პატივსაცემათ სადგურზევე გამართულ იქნა საზეიმო შეხვედრა.

ყველა მისალმებებზე უპასუხა დელეგაციის თავმჯდომარე დაკსელმა. მან სთქვა, რომ მასწავლებლების მოვალეობა არის მომავალი ადამიანის შექმნა, რასაც დიდის გატაცებით ემსახურება საბჭოთა მასწავლებლობა.

შემდეგ მან დაუმატა, რომ ჩვენ ყველანი შევერთდებით მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალში.

საუბარი დაკსელთან

ხარკოვი, 24 აგვისტო. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს დელეგაციის თავმჯდომარე—დაკსელმა და მის მოადგილემ—რეზგერმა დაწვრილებით გამოსთქვეს თავიანთი შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირის შესახებ.

ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მათზე მოუხდენია სახალხო განათლების საქმეს, რომლის მსგავსიც არ მოიპოვება არც ერთ სხვა ქვეყანაში.

მათი სიტყვით, მართალია საბჭოთა განათლების მუშაკნი სავსებით არ არიან დაკმაყოფილებულნი ნივთიერად, მაგრამ ისინი მაინც დიდის გატაცებით მუშაობენ თავიანთ დარგში და ღრმათა სწამთ, რომ ისინი ქმნიან დიად მომავალს.

ბოლოს დელეგატებმა განაცხადეს: „როცა ჩვენ მოვდიოდით ევროპიდან, ყველა გვარწმუნებდა, რომ აქა მეფობს ანარქია და სილატაკე, სადაც ბავშვები სიმშილით იხოცებიან. ჩვენ კი აქ სულ სხვა სურათსა ვხედავთ, ახალგაზრდა, საღი და დისციპლინაში გატარებული ლენინელები საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ ამის უარსაყოფათ“.

სამეცნიერო აკადემიის 200 წ. თავი

იტალიელი პროფესორი რუსეთის მეცნიერების მიღწევის შესახებ

რომი, 23 აგვისტო. „ტასსის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ბოლონიის უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის პროფესორმა ტონნელიმ განაცხადა, რომ მათემატიკის დარგში რუსეთის სკოლა დღესაც უდიდესი გავლენით სარგებლობს. „ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ჩემი სამეცნიერო მუშაობა დაიწყო უდიდესი რუსი მათემატიკოსის ჩებიშევის შრომების შესწავლით. მათემატიკურ ანალიზის თანამედროვე თეორიის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა რუსეთის აკადემიამ. მე სახეში მყავს მეცნიერები: სტეკლოვი, კლიროვი, ლუზინი და სხ.

მრეწველობის აღსადგენათ

სარემონტო სამუშაოების პროგრამა სახელმწიფო მრეწველობაში

მოსკოვი, 24 აგვისტო. სახელმწიფო მრეწველობაში სარემონტო სამუშაოების საკითხზე 1925—26 წლისათვის საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობ მასალის მრეწველობის სამმართველოს თავმჯდომარემ სვერდლოვმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს სთქვა: „კაპიტალურ შეკეთებათა პროგრამა სათბობ მრეწველობაში, როგორც დონის ნახშირი, „აზნავთი“ და „გროზნავთი“ მოითხოვს მომავალ საოპერაციო წელს 132 მილიონ მანეთს. დონის ნახშირის პროგრამა აჭარბებს შარშანდელი წლის პროგრამას სამჯერ, „აზნავთის“ და „გროზნავთის“ კი ორჯერ. დონის ნახშირის აზნავთის და გროზნავთის წინაშე, რომლებზედაც დამყარებულია ქვეყნის სათბობ მასალათა ბიუჯეტი, მათი წარმატების წყალობით, სდგას საკითხი არა მარტო აღდგენის, არამედ მუშაობის შემდეგი გაფართოების შესახებ. კაპიტალურ შეკეთებათა დროს საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული დასავლეთ ევროპის და ამერიკის მეცნიერების და ტეხნიკის ყველა მიღწევანი.

წელს „დონის ნახშირმა“ დაიწყო 127 ახალი მაღაროს გათხრა. საჭიროა ეხლავე იქნას გადაჭრილი კითხვა, რა ტიპის უნდა იყოს ეს მაღაროები. საჭიროა ამ მხრივ გამოყენებული იქნას საზღვარ-გარეთის გამოცდილება და მიღწევები.

ყველა ეს ამოცანები შეიძლება რაციონალურად იქნას განხორციელებული მხოლოდ საუკეთესო ტეხნიკურ და სამეცნიერო ძალთა მონაწილეობით.

სათბობ მასალათა სამმართველომ მიმართა ძერჟინსკის და ტროცკის წერილებით, რომელშიაც იგი საჭიროთ სთვლის სამეცნიერო ძალთა და მუშაკების მონაწილეობას სათბობ მრეწველობაში გაუმჯობესებათა და ახალ მოწყობილობათა შემოღების პროგრამის დასამუშავებლათ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისის მაზრა

ხოლერის შემთხვევები.

ქუთაისში შემჩნეულია 2 შემთხვევა ხოლერით დაავადმყოფების. ექიმების შემოწმებით ხოლერა შემოტანილია. მიღებულია ყოველივე გამაფრთხილებელი ზომები.

აჭარისტანი

ნავთის პროდუქტების გატანა.

ბათომი, 23 აგვისტო. 20 აგვისტოს გავიდნენ ბათომის ნავთსადგურიდან: ინგლისის გემი „ვალლეტა“ რუანში, 2809 ტონა ბენზინით და რუმინეთის გემი „პრინჩიპელლა ბარბიუ სტირბეი“ ალექსანდრიაში 4035 ტონა ნავთით.

ქობულეთის სანატორიუმი.

ბათომი, 23 აგვისტო. ქობულეთის სანატორიუმის შესაკეთებლათ გადადებულია 15.000 მანეთი. სანატორიუმი გაიხსნება მომავალ სექტემბრიდან.

პარტიული ცხოვრება

საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი

გადადებულია 5 სექტემბრისათვის

საგიტ. საპროპაგ. განყოფილება

ქალთა შორის მუშაობა უნდა გავაძლიეროთ

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ საქართველოს მთელ რიგ მაზრებში ქალთა შორის მუშაობა ჯერ კიდევ ვერ სდგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. კერძოდ ჩვენი გაზეთის პარტიულ ცხოვრების განყოფილებაშიაც მრავალი კორესპონდენციები თავსდება ამის შესახებ, სადაც პარტკორები გარკვევით აღნიშნავენ, თუ რა ნაკლს და შეცდომებს აქვს ადგილი ამ მხრივ.

ერთი მეტად საგრძნობი ნაკლი, რომელზედაც გვინდა მივაპყროთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება, იმაში მდგომარეობს, რომ ქალების რიცხვი ორგანიზაციაში სუსტად მატულობს. მაგალითისათვის ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისის ორგანიზაცია. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, თბილისის მთელს ორგანიზაციაში 1925 წ. იანვრიდან ივნისამდე ქალთა პროცენტი გაზრდილა მხოლოდ 0,7 პროცენტით. და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი პარტიის რიგები დღითი-დღე ძლიერდებიან სულ ახალ-ახალი ძალებით და ამხანაგებით. ეს უთუოდ არანორმალური მოვლენაა. ამის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა.

რასაკვირველია, თუ ასეთია მდგომარეობა თბილისის ორგანიზაციაში, მაშინ რაღა ითქმის სოფლის ორგანიზაციაზე? იქ მდგომარეობა გაცილებით უფრო უნუგეშოა. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ფრიად სერიოზული ყურადღება.

ჩვენ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა სისრულეში მოვიყვანოთ რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მიერ გამოტანილი დადგენილება გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გაცხოველების და მათი პარტიაში მიღების შესახებ.

რას ამბობს ეს დადგენილება?

„ც. კ. საორგანიზაციო ბიურო უწევს რა ანგარიშს კერძოდ ამ უკანასკნელ ხანებში გლეხ-ქალების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებისადმი ინტერესის გაზრდას, აქტივობის გაძლიერებას—აუცილებელ საჭიროებათ სთვლის, რომ პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გლეხ-ქალების პარტიაში ჩაბმის საქმეს“. შემდეგ ეს დადგენილება დასძენს, რომ: „...მათ ყოველმხრივ უნდა გაუადვილოთ პარტიაში შესვლა, უნდა შევუმსუბუქოთ მიღების ფორმალური მხარე. პირველ ყოვლისა კი პარტიაში მიღებული უნდა იქნენ დელეგატ-ქალები და მოჯამაგირე ქალები, რომლებმაც გამოიჩინეს სათანადო აქტივობა საზოგადოებრივ და პრაქტიკულ მუშაობაში და რომელთაც აქვთ სურვილი პარტიაში შესვლისა“-ო.

აი ჩვენი პარტიის ეს ავტორიტეტული დადგენილება კარგად უნდა შეისისხლხორცონ სოფლის ორგანიზაციებმა.

მეორე ნაკლი, რომელსაც აქ ხაზი უნდა გავუსვა, არის ის, რომ ადგილებზე ქალთა შორის მასიური მუშაობის წარმოებას მეტად ხელს უშლის ქალ-ორგანიზატორების სათანადო მოუმზადებლობა ერთის მხრივ და ქალ - ორგანიზატორთა მრიცხვობრივი სიმცირე მეორეს მხრივ.

მართლაც როგორ შეიძლება გავაღრმაოთ ქალთა შორის მუშაობა, აქტიურად ჩავაბათ ისინი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში, თუ კი ქალ-ორგანიზატორები როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივად ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას.

საჭიროა ამას პარტიის ცეკასთან არსებულ ქალთა განყოფილების მიერ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

დასასრულ მესამე ნაკლი, რომლის შესახებ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ, არის პარტხელმძღვანელობის სისუსტე ქალთა ორგანიზაციებისადმი. დღეს, თუ როგორი ხასიათისაა ეს პარტხელმძღვანელობა, ან როგორი უნდა იყვეს ის საერთოდ ამას შევეხებით შემდგომ, მხოლოდ, აქ ვიტყვით, რომ სოფლად მომუშავე ზოგიერთი პარტამხანაგები თავიანთ საკუთარ საქმეთ არ სთვლიან ქალთა შორის მუშაობას. ადგილი აქვს ერთგვარ გულცივობას, უზრუნველობას მუშაობის ამ დარგისადმი.

საჭიროა ამ არასასურველ გადახრის ძირ-ფესვიანათ აღმოფხვრა.

ანი.

პარტიისა და კომკავშირის ურთიერთობის შესახებ

მართალია, ბოლო ხანებში კომკავშირის რიცხვობრივი გაზრდა ყველასათვის შესამჩნევი გახდა, მაგრამ მისი თვისობრივი გაუმჯობესება ჯერ კიდევ სასურველ ტემპით ვერ მიმდინარეობს, რაშიაც სხვათა შორის, ნაწილობრივ პარტიულ უჯრედებს ედებათ ბრალი.

ამას წინად ა.-კ. საკონტროლო კომ. მოახდინა მთელი რიგი ქვედა პარტორგანიზაციების გამოკვლევა, სადაც აღმოჩენილ იქნა მრავალი დეფექტები.

პირველი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ კომკავშირთან პარტუჯრედი კმაყოფილდება მხოლოდ ფორმალური დამოკიდებულების დაჭერით- ის რამდენიმე თვეში ერთხელ მოისმენს მშრალ მოხსენებას კომკავშირის უჯრედის მუშაობის შესახებ და ამით საზღვრავს თავის მუშაობას ამ მიმართულებით.

მეორე ნაკლი არის ის, რომ ზოგან ნაკლები ყურადღებით ეპყრობიან კომკავშირში პარტიულ აქტივის გაძლიერებას და ბევრ ადგილას კი ადგილი აქვს კომკავშირელების პარტიაში მექანიკურად გადაყვანას, თუ კი მას 23 წელი შეუსრულდება. რასაკვირველია, როგორც პირველი, ისე მეორე ვერ შეუწყობს ხელს ჩვენი კომკავშირის თვისობრივ გაძლიერებას.

გამოკვლევამ აღმოაჩინა, სხვათა შორის, ისიც, რომ აქა-იქ კომკავშირის პასუხისმგებელი მუშაკები იმდენად დატვირთულნი არიან სხვადასხვა სამუშაოებით, რომ მათ საშუალება არ აქვთ თავისი ძირითადი სამუშაოს შესაფერისად ხელი მოკიდონ. სამაგიეროდ ზოგ ადგილებში კომკ. პასუხისმგებელი მუშაკები სრულიად არ არიან გამოყენებული არც პარტიულ, არც საბჭოთა და პროფესიონალურ დარგებში სამუშაოდ.

ამას გარდა პარტუჯრედიდან კომკავშირში სამუშაოდ გაგზავნილი ამხანაგი იმდენად სუსტი გამომდგარა, ან ნაკლებად აქტიური ყოფილა, რომ რაიმე იდეიურ ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი შეუძლებელი ხდება და მისი მონაწილეობა უმთავრესად წვრილმან საკითხებში მონაწილეობის მიღებით ამოიწურებოდა.

სამწუხაროდ არის ისეთი შემთხვევებიც, რომ კომკავშირის წევრებს ჯერ კიდევ ფართოდ იყენებენ სამილიციო და ხარკის აკრეფის საქმეში, რაიც არ შეიძლება გამართლებული იქნას.

გაითვალისწინა რა ყველა ეს დეფექტები ა. | კ. საკ. კომ. დაადგ სამაზრო კომიტეტებს დაევალ რომ თვეში ერთხელ მოისმინ მოხსენებები კომკავშირის მუშაობ შესახებ და მიიღონ სათანადო ნაწილეობა მომავალი მუშაობის გ მის დამუშავებაში.

ყველა ეს საყურადღებო, პრი ციპიალური ხასიათის საკითხ რომელიც შეეხება კომკავშირ ცხოვრებას, განხილული უნდა იქ პარტუჯრედის სხდომაზე, რომ უკეთ გადაიჭრას ეს საკითხები.

პარტიული ინსტრუქტორები პარ ორგანიზაციების გამოკვლევის დრ ვალდებული არიან კომკავშირ უჯრედთა მუშაობასაც გაეც ნონ.

პარტიისა და კომკავშირის შო რის დამოკიდებულების გასაძლ რებლად კომუჯრედი მოვალეა მოყოს თავის წრიდან 2—3 სათან დოდ მომზადებული ამხანაგი.

ამასთანავე ერთად კომკავშირ ორგანიზაციები ჩაბმული უნდა ი ნან სოფლის საჭირბოროტო საკით ხების გარჩევაში, კომკავშირელე უნდა ესწრებოდენ პარტიულ უჯრ დების სხდომებს.

ამრიგად საკითხი კომკავშირ თვისობრივი ზრდის შესახებ ერთ ერთი მტკივნეული საკითხთაგან რისთვისაც საჭიროა ადგილობრი პარტუჯრედები უფრო მეტი ყუ რადღებით მოეკიდონ კომკავშირ მუშაობას, ვინემ აქამდი.

ა. ეფრონი—ლი.

ჩვენი ნაბიჯი სწორია

დღეს შესრულდა ორი წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მშრომელთა ნაწილმა თავის ყრილობაზე პარტია გაუქმებულად გამოაცხადა და მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დადგა.

ამ ყრილობის შესახებ ბევრმა გამოსთქვა თავისი აზრი. მათ შორის იყო ნოე ჟორდანია, სეით დევდარიანი, გრიგოლ ლორთქიფანიძე და კიდევ განზე დარჩენილი მრავალი მუშები. ბევრმა გალანძღა ყრილობა, უწოდეს მუშებს მოშიშარები, ზედმეტი ბარგი, პარტიაში უცნობი, ჯაშუშები, გამყიდველები, პროვოკატორები და სხვა მრავალი ამის მსგავსი.

ამით ლამობდენ შეეჩერებიათ მუშათა კლასის გამოფხიზლება და დაკავშირება-შეერთება კომუნისტურ პარტიასთან. მაგრამ ამაოდ. სოც.-დემ. პარტიის ლიკვიდაციას თან მოჰყვა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის, ეროვნულ-დემოკრატების, დაშნაკციუტუნის, მუსავატელების და სხვა ანტი-კომუნისტური პარტიების სრული ლიკვიდაცია.

ამას მოჰყვა სეით დევდარიანი და მისი მიმდევრების გამოსვლა-დეკლარაციები. პირველი რაიონის მუშების კრებები და დეკლარაცია სეით დევდარიანის და მიშა ძამაშვილის ხელმძღვანელობით. ასეთივე გამოსვლები გამასწორებელ სახლებში და გადასახლებულთა ჯგუფებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებით შექმნილ მდგომარეობას სწორი ალღო აუღო მენშევიკ მუშებმა და გლეხებმა. მათ თავისი გადამწყვეტი სიტყვა სთქვეს 1923 წლის 25 აგვისტოს ყრილობაზე. უკან დარჩენილ ორმა წელმა დაგვანახვა—რამდენად სწორი მოჩნდა ამ ყრილობის მიერ გა დგმული ნაბიჯი.

ამის საუკეთესო დამამტკიცე მაგალითს, რომ 25 აგვისტოს ყ ლობის ხაზი სწორი იყო, წარმ გენს თუნდაც პარიტეტულ კომ ტის განცხადება უზენაეს საბჭ ლოს სხდომაზე, რომ მან ... მოაწყო და ურჩევს ქართველ ხელი აიღოს საზღვარგარეთ ცქერაზე, დაადგეს საბჭოთა ხელ უფლებასთან თანამშრომლობის არსებულ კონსტიტუციის ნიად

ასე ემართებოდა ყოველთვის ლა იმ პარტიებს, რომლებმაც აუღეს დროზე ალღო ცხოვრ მსვლელობა-სინამდვილეს და მლებსაც არა აქვთ მტკიცე რე ლიუციური გეზი და აქედან გამ დინარე ბრძოლის საღი პრაქ და მეთოდები.

ჩვენ ორი წლის წინად რად, გაბედულად გადავსდგით ბიჯი. გავაუქმეთ ის პარტ რომლის სახელითაც ჩვენს დაუ ხავად ვაჭრობდენ იქ, საზღვარ რეთ და შევუერთდით კომუნისტ პარტიას. ჩვენი ნაბიჯი მოიწ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის გერმანიის მუშათა კლასის დელ ციებმა.

დღეს, ორი წლის თავზე ყრილ ბის გარშემო გაერთიანებულა ათასი კაცი და ყველა მათი მიმავალი ამხანაგები უნდა თავ დებით იბრძოლენ მუშათა კლ მენშევიკურ ბურუსიდან გამოხ ლება-დარაზმვისათვის საერთაშ სო ბურჟუაზიის და მისი მოკავშ მეორე ინტერნაციონალის დასამ ცხებლად.

ს. ფარნიევ

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა შორაპნის მაზრაში

მიმდინარე წლის ივლისის პირველ რიცხვებისათვის შორაპნის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებდა 1038 წევრს და კანდიდატს. საანგარიშო თვეების პირველ ნახევარში მთელს მაზრაში პარტმუშაობა მოისუსტებდა. ამას ჰქონდა თავისი საპატიო მიზეზები. მეორე ნახევარში მუშაობა გამოცხოველდა და საგრძნობ მიღწევებთანაც გვაქვს საქმე. ამ ბოლო დროს ორგანიზაციაში მიღებული იქნა 317 ამხანაგი საკანდიდატო სტაჟით, 148 ამხანაგი კი გადარიცხული იქნა პარტიის ნამდვილ წევრებათ. რაც შეეხება ორგანიზაციის წევრთა პოლიტიკური განვითარების დონეს, ამ მხრივ მდგომარეობა უნუგეშოა. სამწუხაროთ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად არ არსებობს არც პოლიტ-სკოლები და არც წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი ლიკპუნქტები. ხოლო თუ ასეთები სადმე მოიპოვებიან, ისინი ვერ მუშაობენ ნორმალუ რად. დისციპლინა ორგანიზაციაში სუსტ წინათ ხშირი იყო ლოთობის შემთხვევ მაგრამ მიღებულ ზომების საშუალებით თებს თანდათან ესპობა ნიადაგი. კავშირ სამაზრკომსა, რაიკომებს და თემკომებ შორის არ არის დამაკმაყოფილებელი. სრ ლიად არ ეწყობა რაიკომების და თემკომ ბის ბას. მდივნების გაერთიანებული სხდ მები პარტკომთან. ამით აიხსნება სწორ ის გარემოება, რომ თვით უჯრედების მ შაობაც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 4 სატრანსპორტო უჯრედს, ვერ მიმდინ რეობს იმ რიგად, როგორადაც ეს საჭირ უჯრედები მოკლებული არიან ხელმძღვან ლობას. სამაზრკომმა ახლო მომავალში ყ ველივე ზემოაღნიშნულს უნდა მიაქციო ჯეროვანი ყურადღება.

დ. ვაჩეიშვილი.

25 ოქტომბრის სახელობის წუმწუმის ქარხნის კომუჯრედი

ზემოხსენებული კომუჯრედი დაარსდა 1923 წელს. ამჟამად უჯრედში ითვლება 15 წევრი და კანდიდატი, რომლებიც ჩაბმული არიან პოლიტ-წრეებში, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში და სხვადასხვა კომისიებში. ხშირად იმართება უჯრედის ღია სხდომები, რომლებსაც ბლომად ესწრებიან უპარტიო ამხანაგებიც. უშვებთ კედლის გაზეთს. ჯერ-ჯერობით გამოსულია 1 ნომერი. დაარსებული გვაქვს ლენინის კუთხეც თავისი სამკითხველოთი. რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, ამ მხრივ უჯრედი ძლიერ მოისუსტებს. ჩვენს ქარხანაში მომუშავე ქალებიდან მხოლოდ 2 ქალია პარტიის წევრი. ამას კომუჯრედ მა უნდა მიაქციოს ყურადღება, რათა ა ტიურად ჩააბას პარტმუშაობაში უპარტიო მუშა-ქალები. უჯრედს შეფობის ქვეშ აყვა ნილი ჰყავდა სოფ. თხინვალი, რომელსა ყოველმხრივ ვეხმარებოდით, რითაც ადგ ლობრივი გლეხკაცობა მეტად კმაყოფილ იყო. ამ დღეებში რაიკომის დადგენილებით ჩვენი უჯრედი მოხსნილი იქნა ამ სოფლი დან და მიგვამაგრეს სხვა სოფელზე, სადაც მუშაობას ჩავატარებთ ცეცხლისმქრობელ რაზმის უჯრედთან ერთად.

პარტკორი გაზელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპედიცია იალბუზზე

ექსპედიციამ მიაღწია მწვერვალს

საქ. გეოგრ. საზ-ბის ექსპედიცია ინჟ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით 12 აგვისტოს ავიდა იალბუზის მწვერვალზე, სადაც დაჰყო 15 წუთი.— კავკასიის სამთო საზ-ბის ექსპედიციამ მწვერვალს ვერ მიაღწია.--პროფ. ანისიმოვის მისალმებელი დეპეშა.—ექსპედიცია გადავიდა სვანეთში.—საუბარი პროფ. ალ. ჯავახიშვილთან.

ექსპედიციამ მიაღწია მწვერვალს

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციამ, 19 კაცის შემადგენლობით (მათ შორის 5 ქალია), სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის ინჟ. **გიორგი ნიკოლაძის** ხელმძღვანელობით 12 აგვისტოს მიაღწია იალბუზის მწვერვალს.

ექსპედიცია იალბუზისაკენ გავიდა კისლოვოდსკიდან 2 აგვისტოს; მან გაიარა სოფლები კორმოვო-ტუნდილენი, შემდეგ მდინარე ბაქსანის ველი, აქედან გაიარა სოფელი ურუსბიევი, გაჰყვა მაღლობ ტერსკოლზე და, ბოლოს, მყინვარ აზაუს მოედანზე, საიდანაც 6 აგვისტოს დაიწყო იალბუზზე ასვლა.

მყინვარებს შორის ეგრედწოდებულ „იალბუზის გადასახედზე“ (Кругозор Эльбруса) საქართველოს ექსპედიცია შეხვდა კავკასიის სამთო საზოგადოების ექსპედიციას. ექსპედიციებმა „გადასახედზე“ მოაწყვეს მეტეოროლოგიური სადგური.

ექსპედიციების მონაწილეებმა პირველი ღამე გაათიეს „გადასახედზე“ ზღვის დონიდან 3.000 მეტრის სიმაღლეზე. 7 აგვისტოს ექსპედიცია, რომლის შორის იყვენ ცნობილი მკვლევარები ფროლოვი, მალენიკოვი და ძიგოვსკი, და აგრეთვე გაზეთების კორესპოდენტები, ავიდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობის ყინულიან ქედზე, რომლის სიმაღლე უდრის 4.200 მეტრს.

იალბუზის მწვერვალამდი დარჩა ჯერ 1.400 მეტრზე მეტი. აქ ექსპედიციებმა გაშალეს კარავები და ექსპედიციების მონაწილენი დაბანაკდენ ღამის გასათევათ; მათ განზრახული ჰქონდათ 8 აგვისტოდან დაეწყოთ მწვერვალზე ასვლა.

უეცრათ დაიწყო ქარბუქი. ექსპედიციამ მაინც განაგრძო გზა სრული შემადგენლობით. მაგრამ საჭირო შეიქნა ბანაკში დაბრუნება. ქარბუქი და ნისლი გრძელდებოდა. კავკასიის სამთო საზოგადოების ექსპედიცია დაეშვა ქვევით. ნიკოლაძე თავისი ამხანაგებით დარჩა ბანაკში, სადაც უცდიდა გამოდარებას; ამასთანავე მან მტვირთავები გაგზავნა აზაუში, სადაც მას ბანაკი ჰქონდა მოწყობილი, სურსათის ჩამოსატანათ. ქარბუქი გრძელდებოდა სამი დღე. ექსპედიციამ ადვილათ აიტანა აქ ყოფნა და ექსპედიციის მონაწილეთ არ დამართიათ ავადმყოფობა, რომელიც ჩვეულებრივია მაღალ ადგილებში. მხოლოდ ორი დაეშვა ქვევით. დაბოლოს, 12 აგვისტოს დილით ნისლი გაიფანტა, ექსპედიციამ მიაღწია მწვერვალს და გაჩერდა 5.633 მეტრის სიმაღლეზე. აქ მათ მოუხდათ მხოლოდ 15 წუთით გაჩერება. ქვევით ჩამოსვლა, მიუხედავათ ნისლისა, კარგათ იქნა შესრულებული.

იალბუზზე ასვლის ეს შემთხვევა სრულიად განსაკუთრებულია მწვერვალზე ასულთა რიცხვის და გადალახულ სიძნელეთა მხრივ. ეს ექსპედიცია პირველია უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში.

პროფ. ანისიმოვის მისალმება

ამის გამო საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ კისლოვოდსკიდან პროფესორ ანისიმოვისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

— კისლოვოდსკში დასასვენებლათ მყოფი მეცნიერები, არტისტები და ლიტერატორები ესალმებიან საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციის მონაწილეთ, რომლებმაც მიაღწიეს იალბუზის მწვერვალს. მხოლოდ განსაცვიფრებელი ვარჯიშობის, გულმოდგინე მზადებისა და, რაც მთავარია, ხელმძღვანელ ნიკოლაძის ნებისყოფისა და ნიჭის წყალობით მოახერხა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციამ ასეთი დიდი შედეგის მიღწევა არახელსაყრელ პირობებში, ალპინისტების ასეთი მრავალრიცხოვანი შემადგენლობით.

კრების მონდომილობით

პროფ. ანისიმოვი.

ექსპედიცია ბრუნდება უკან

გუშინ ჩვენმა რედაქციამ ჯვარიდან იალბუზის ექსპედიციის ხელმძღვანელ—გ. ნიკოლაძისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„19 აგვისტოს გადავედით სვანეთში. ყველანი კარგათ ვართ. ჩქარა გაცნობებთ დაწვრილებით ცაგერიდან.

გ. ნიკოლაძე“.

საუბარი პროფ. ა. ჯავახიშვილთან

ამ ექსპედიციისა და მის მიერ იალბუზზე ასვლის მნიშვნელობის შესახებ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, პროფ. ალ. ჯავახიშვილს, რომელმაც სთქვა:

— ჩვენი ექსპედიციის მიღწევა სარეკორდოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან არასოდეს არც ერთი ექსპედიცია არ ასულა იალბუზზე ასეთი დიდი შემადგენლობით.

მართალია იალბუზზე ასულან თითო-ოროლა პირები—ინგლისელები, რუსები და სხვები, მაგრამ საქართველოდან ასეთი ექსპედიციის გაგზავნა პირველი შემთხვევაა.

ამ ექსპედიციაში ჩვენ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მასში მამაკაცებთან ერთად შედის 5 ქალი, რომლებიც, სხვათა შორის, შარშან გ. ნიკოლაძის ექსპედიციასთან ერთად ავიდენ მყინვარზე.

ტურიზმი და ალპინიზმი ჩვენში ახალი მოვლენაა. იმ დროს, როდესაც ევროპაში მას დიდი ხნის ისტორია აქვს, ჩვენში ის ეხლა იწყება. საქართველოში მთასვლა-მგზავროსნობას საძირკველი ჩაუყარა საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა გამოცდილი და გავარჯიშებული სპორტსმენები; ამ უკანასკნელთათვის მყინვარზე და იალბუზზე ასვლის შემდეგ არავითარი დაბრკოლებები აღარ იქნება საშიში სხვა მყინვარზე ასვლის დროს.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა პრაქტიკული შედეგი მოჰყვება ამ ექსპედიციას, პროფ. ალ. ჯავახიშვილმა აღნიშნა შემდეგი:

— საერთოდ ყველა ასეთ ექსპედიციებს უფრო სასპორტო ხასიათი აქვთ, რადგან ასეთ მაღალ მთაზე ასვლის დროს (5.664 მეტრი—დაახლოვებით 5 1/4 ვერსი ზღვის დონეზე) ძნელია რაიმე მეცნიერული გამოკვლევების მოხდენა. მიუხედავათ ამისა, ჩვენს ექსპედიციას გაჰყვა რამოდენიმე ახალგაზრდა მკვლევარი და მეცნიერი, რომლებიც მიზნათ ისახავენ იალბუზის ფლორის და ფაუნის შესწავლას.

ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენათ შესძლეს მათ ამ მიზნის განხორციელება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის ცოტაოდენი მასალებიც კი, რომლებსაც ისინი უთუოდ შეაგროვებდენ, დიდი საგანძური იქნება მყინვარების შესწავლის დარგში, რადგან ეს საკითხი დღევანდლამდე შესწავლილი არ არის სათანადოთ და ყოველგვარ სულ მცირე ცნობასაც კი ამ დარგში დიდი მნიშვნელობა ექნება.

ექსპედიცია იალბუზიდან ერთ-ერთი გადასავალით გადავა სვანეთში, იქიდან სამეგრელოში და შემდეგ დაბრუნდება თბილისში.

თბილისში ექსპედიციას უნდა ველოდეთ სექტემბრის შუა რიცხვებისათვის.

ზ.

თბილისის საბჭოს სექციებში

კომუნალური სექცია

გუშინ, საღამოს 7 საათზე შესდგა თბილისის საბჭოს კომუნალური სექციის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების 1925 წლის პირველი ნახევრის მოქმედების ანგარიში.

სანიტარული სექცია

საანგარიშო პერიოდში სანიტარული სექციის მიერ დაგებული იქნა ქუჩის საკანალიზაციო მილები—სიგრძით 477 საჟენი, კერძო პირთა სახლებში გაყვანილი იქნა 741 საჟენი მილი. გათხრილი იქნა ორმოები 376 საჟ.; ამას გარდა სექციის მიერ შეკეთებული იქნა ქუჩის მილები—202 საჟ., საბჭოთა შენობებში—100 საჟენი. შეკეთდა ქუჩის წყლის 21 მიმღები და ქუჩის ორმოები.

ამავე ხნის განმავლობაში გატანილი იქნა ნაგავი: საბჭოს სახლებიდან და სახელმწიფო შენობებიდან—927 ურემი, ქუჩებიდან (144 პუნქტი)—165 ურემი; წყალის ნაღექი—8,124 ურემი და სიბინძურე—889 ბოჭკა.

საბაღო სექცია.

ჩვეულებრივ სამუშაოს გარდა (ბაღების მოვლა), საანგარიშო ხნის განმავლობაში დამზადდა და დაითესა 129 კვალი, დაიბარა 980 კვ. საჟ. მიწა, გაფხვიერდა და გაიწმინდა 236 კვალი, დამზადდა დასარიგებლად სხვადასხვა მცენარე 13.945 ცალი, გადაირგო 16.542 ცალი, გაითოხნა და გაიწმინდა 2.700 კვ. საჟენი მიწა, დამყნილ იქნა ვარდი—1.130 ცალი და სხვა.

ტყის კულტურის სექცია

საანგარიშო პერიოდში სექციამ შეიძინა: მუხის ბოძები—966 ცალი, ფიჭვული და ლურსმანი—97 ფუთი 4 გირვანქა, თესლი—10 ფ. 4 გირ., ხავსი ხუდადოვის ტყეში კვლების დასაფარავათ და სხვა მასალა და იარაღი.

ყველა ამაზე დაიხარჯა 1.886 მან. 70 კაპ.

მამადავითის მთაზე გაიმართა ზღუდეები, ქვის საგუბრები და ახალი სათურები; შეკეთდა ძველი სათურები და სადგურები, გაშენდა პარკი ნაძალადევში, აგებული იქნა წყლის აუზი და სხვა.

ყველა ამაზე დაიხარჯა 1,988 მ. 89 კაპ.

ამას გარდა გაკეთდა წყალის შემკრები თხრილები, რაზედაც დაიხარჯა 4.118 მან. 74 კაპ. დამზადდა ქვები ქვაფენილებისათვის და მასალა სადგურებისათვის (208 მან. 42 კ.) შესრულებულ იქნა აგრეთვე სხვა სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯა 2.868 მან. 53 კაპ.

კეთილმოწყობა მაზრაში

საანგარიშო ხნის განმავლობაში მაზრაში დიდი სამუშაოები იქნა შესრულებული.

თავიდანვე მაზრა უგზოობის გამო მეტათ აუტანელ მდგომარეობაში იყო, რის გამო მაზრის ზოგიერთი ნაწილი, როგორც, მაგალითად, წალკა და ალბულაღის ზემო ნაწილი, თითქმის სრულიად მოწყვეტილი იყო ქალაქისაგან. 1923 წლიდან თბილისის აღმასკომი შეუდგა ამ ნაკლის გამოსწორებას და 1925 წლის ივნისისათვის უკვე დამთავრდა მანგლის-წავკისის გზატკეცილის გაყვანა. გზატკეცილი გაყვანილია 32 ვერსის მანძილზე, რაზედაც საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 15.000 მანეთი. შეკეთებულ იქნა აგრეთვე თბილის-ალბულაღის გზატკეცილი, რაზედაც დაიხარჯა 5.000 მანეთი.

ამრიგათ, მიმდინარე წელში მაზრის მტკივნეული საკითხი—გზების საქმე—ნაწილობრივ მოგვარდა.

ეკონომიური ქრონიკა

საბარგო ავტომობილები

ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ამერიკიდან მიიღო 50 საბარგო ავტომობილი „ფორდის“.

სიმინდი გლეხებს

აჭარის ცეკავშირი შეუდგა მაზრებში სიმინდის გაგზავნას სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხობისათვის. ჯერ-ჯერობით უკვე გაგზავნა 5000 ფ.

მიათურის შავი-ქვის მრეწველობა.

აპირებენ გაიყვანონ ელექტრონის სინათლე ქარხნებსა და მადნების სამუშაოებზე.

პური ქუთაისს

ქუთაისმა მიიღო 8 [illegible] პურის ფქვილი, რომელიც გაუნაწილდა კოოპერატიულ ფურნეებს, და რომელნიც იდგნენ უფქვილობის გამო. მათ დაიწყეს პურის გამოშვება დაკლებულ ფასებში.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ა.-კ. სასოფ-სამეურნეო გამოფენის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. გამოფენა გაიმართება მომავალ წლის მარტში დიდუბეში.

მეგამბეობა საქართველოში

დამზადების კამპანია

ვინაიდან წელს ამიერ-კავკასიაში წარსულ წელთან შედარებით დაითესა ბამბით იმაზე მეტი რაოდენობა მიწისა, რაც განზრახული იყო, რის გამოც მოსავალი მოსალოდნელია 5—6 მილიონი ფუთი, ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტმა უკვე გამოიმუშავა ნედლი ბამბის შესყიდვის გეგმა.

ბამბის შესყიდვა განზრახულია დაიწყოს ენკენისთვის ბოლო რიცხვებში და დამთავრდეს მომავალი წლის თებერვლის დამლევს. გეგმის თანახმად ბამბის შესყიდვა აწარმოებს შემდეგნაირად: ენკენისთვეში შეისყიდება მოსავლის ხუთი პროცენტი, ოქტომბერში—30 პროცენტი, ნოემბერში—35 პროცენტი, დეკემბერში—20 პროცენტი და იანვარში 10 პროცენტი.

შესყიდვის გეგმა დამყარებულია გასული წლის პრაქტიკაზე და ამავე დროს გათვალისწინებულია ადგილებზე მოსავლის მოწევის განსაკუთრებული პირობები. გარდა ამისა, გეგმა დაკავშირებულია ბამბის გამწმენდ ქარხნების ამუშავებასთან.

წელს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული იმ დეფექტების თავიდან აშორებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს ბამბის შესყიდვის დროს.

ნედლეულის ჩაბარების დროს რიგების თავიდან ასაცილებლად და ბამბის მიღების გასაადვილებლათ განზრახულია შემსყიდველ პუნქტების გადიდება; აზერბეიჯანში ასეთი პუნქტები გადიდდება 50-დე, სომხეთში დაარსდება 11 მუდმივი პუნქტი და 4 დროებითი და საქართველოში—4 მუდმივი და 4 მოძრავი.

გარდა ამისა, მიღების და ანგარიშების გასწორების გასაადვილებლათ, ყველა ხარისხის ბამბაზე გამოიწერება ერთი ორდერი. დახარისხების გასაუმჯობესებლად და ყოველგვარ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად მოწვეული იქნებიან მცოდნე დამხარისხებლები და ქარხნებში და მიმღებ პუნქტებში დაიდგმება 3—5 „სპეციალური დაზგა. მიღების დროს კონტროლს აწარმოებენ პასუხისმგებელი რწმუნებულები და ინსტრუქტორ ინსპექტორები.

ბამბის საწმენდი ქარხანა ქუთაისში

19 აგვისტოს დიდი ზეიმით დაიწყო ბამბის საწმენდი ქარხნის აშენება ქუთაისში, იდგმება მანქანა ნედლი ბამბის გასაწმენდათ, ერთი მანქანა ბამბის თესლის საწმენდათ პრესი და 70 ძალიანი ძრავი.

ეხლანდელი მოწყობილობანი უზრუნველყოფენ მუშაობას ორი თვით, ყოველდღიურათ 1000 ფ. ნედლი ბამბის გაწმენდის პირობებში.

ქარხნის აშენება დამთავრდება ბამბის აკრეფის მიმდინარე კამპანიის დამთავრებისას, ანუ დეკემბერში.

ყველა აუცილებელი მანქანები ქარხნისათვის უკვე მიღებულია და მათი დადგმა დაიწყება მას შემდეგ, რაც აშენდება ქარხნის მთავარი შენობა.

ეს ქარხანა, გარდა ქუთაისის მაზრაში აკრეფილ ბამბისა, გასწმენდს სამტრედიის რაიონის ბამბასაც, ამ უკანასკნელში ცალკე ქარხნის დაარსებამდე.

ქარხნის ხანძრისაგან დასაცავი მოწყობილია წყლის საქაჩავი მანქანა, ცეცხლის საქრობები და სხვა.

ქარხანა დასავლეთ საქართველოში ითვლება პირველი ბამბის საწმენდ ქარხნად, ხოლო მომავალ წელს საქართველოს საბამბო კომიტეტი შეუდგება ასეთივე ქარხნის აგებას სამტრედიაში.

სამ. ეკ. საბჭოში

გადასახადი სპირტის ნაწარმოებზე

საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სპირტის ნაწარმოებზე გადასახადის გადახდევინება აჭარისტანის „წითელი მთვარის“ სასარგებლოთ ცნობილი იქნეს არა მიზანშეწონილათ.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში დაევალა აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოლაპარაკების საშუალებით მოაგვაროს აღნიშნული საკითხი.

ხილის საშრობის მოწყობა

წარმოკავშირს უფლება მიეცა ახალციხის მაზრისათვის გადადებული მიზნობრივი თანხა 30.000 მანეთის რაოდენობით დახარჯოს სხვა საჭიროებისათვის იმ პირობით, თუ სასოფლო-სამეურნეო ბანკი ან სხვა რომელიმე ორგანიზაცია უზრუნველყოფს ადგილობრივ ხილის საშრობის მოწყობას.

უკეთუ შემოთავაზებული ღონისძიება სისრულეში იქნება მოყვანილი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ევალება გამოარკვიოს, თუ რა და რა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებას უნდა მოხმარდეს ახალციხის მაზრისათვის გადადებული 30.000 მანეთი.

მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკის შესახებ

საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკის ხარჯთაღრიცხვა 631,500 მანეთის რაოდენობით.

ამასთანავე უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა დაარსებული იქნეს კომისია ს. ჯუღელის (თავმჯდომარე), თ. ლეჟავას და ნ. კიკნაძის შემადგენლობით, რომელმაც უნდა გამონახოს სათანადო სახსარი და შეუთანხმდეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის სახელზე მიღებული მანქანების გამოყიდვის შესახებ.

ამავე დროს ამხ. ნ. კიკნაძეს დაევალა წარადგინოს ეკონომიურ საბჭოში ცნობები, თუ რა თანხა დასჭირდება მთავარი საქარხნო შენობის კორპუსისა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი სადგომების დამთავრებას.

ზედნართი დოღის ბილეთებზე

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა; ვინაიდან დოღი სასპორტო ორგანიზაციაა, ხოლო ადგილობრივი ფინანსების დარიგების დებულების სათანადო მუხლის თანახმად სპორტის გადასახადი 15 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, ამიტომ თბილისის აღმასკომის სასარგებლოთ დოღის ბილეთებზე დაწესებული ზედნართი 25 პროცენტის რაოდენობით შემცირებული იქნეს 15 პროცენტამდე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ახალციხის მაზრაში

ახალციხის მაზრაში გადასახადის აკრეფა დაიწყო 22 აგვისტოს. გადასახადის სიმცირე გლეხებში დიდ კმაყოფილებას იწვევს, ისინი იწვევენ ყრილობებს, რომლებზედაც ადგენენ, რომ გადასახადი შეიტანონ ერთბაშად, ერთ თვეში.

პირველ დღესვე ერთი თემიდან შემოვიდა 370 მან.

მუშათა ცხოვრებიდან

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ასეთი უნდა

ქალ. თბილისის მე-3-ე რაიონის საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეების ადგილკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არის არჩეული ამხ. **დ. ქურდოვანიძე.** მას არ ახსენდება მისი პირადი მოვალეობა. მას ერთხელაც ადგილკომში არ შეუვლია და არ მოუფიქრებია რევიზიის შესახებ. თუ მას დასჭირდა რაიმე პირადი საქმე, ასეთისათვის ყოველთვის იქ არის. ადგილკომის პ/მგ. მდივანი იძულებულია მას თხოვნით მიმართოს: „მობრძანდი და რევიზია გაგვიკეთე“.

მოხსენით ეს ზანტი და უსაქმური კაცი.

შუქურა.

ამ კაცს ჭკუა ასწავლეთ

(მე-4-ე რაიონის შრომის ინსპექტორის საყურადღებოთ).

არა ერთხელ ყოფილა შენიშვნები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იმის შესახებ, რომ ზოგიერთი დაწესებულებების ადმინისტრაცია არ აქცევს ყურადღებას პროფკავშირის წევრებს და ყოველმხრივ ავიწროებს მათ.

ასეთი მოვლენები ამ უკანასკნელ ხანებში მრავალი არის.

აი კიდევ ერთი მაგალითი: ქალ. აღმასკომის „მმაჩის“ ქვე-განყოფილებაში „წერითი დამხმარე ბიუროს“ თანამშრომელთა ადგილკომისაგან გაგზავნილი არის 4 უმუშევარი, მოქალაქეებისთვის განცხადებების დასაწერად. ხსენებულ „მმაჩ“-ში გამგედ არის მოქ. შარაშანიძე, რომელიც ემუქრება იმ 4 გამოგზავნილ თანამშრომლებს გარეთ გაყრით და მიმართავს მათ უშვერი სიტყვებით.

საჭიროა შრომის ინსპექტორმა მიიღოს მას ჭკვაზე მოსაყვანად სათანადო ზომები, რათა ლუკმა პური არ დაეკარგოს იმ ოთხ პროფკავშირის უმუშევარ წევრს.

მუშკორი ა. დ. მათიაშვილი.

სპეკულიანტი გააძევეთ ლენინის უბნიდან

(მე-11-ე უბნის მილიციის უფროსის და უბნის სანიტარულ ექიმის საყურადღებოთ).

მაგისტრალის ქუჩაზე № 27 არის გაღებული პურის საცხობი, რომელიც ეკუთვნის ვინმე მხიტარიანცს. აღნიშნული მხიტარიანცი ყოველთვის იმას სცდილობს, რომ, რაც შეიძლება, მეტი მოიგოს და მუშები გაატყავოს, ამიტომ მიმართა ხრიკებს. პურს აცხობს დაბალ ხარისხის, უმატებს სიმინდის ფქვილს და პური გამოდის მძიმე. მართალია, იქვე ახლოს არის გახსნილი „მუშკოოპის“ დუქანი, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს სრულიად მცხოვრებლებს და ძალიან ხშირად მუშები უვარდებიან ხელში ამ ჩარჩს.

ძალიან ხშირად ეს ვაჭბატონი დუქანში უშვერი სიტყვებითაც ლანძღავს მუშებს და მათ ცოლებს. ერთმა მუშის ცოლმა მას შენიშვნა მისცა, რომ პური ცომია, პასუხად კი მიიღო დიდი ლანძღვა. საჭიროა ეს მეპურე აილაგმოს.

მუშკორი გუგუნა.

გაგვიღეთ ეს ბაღი.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოთ).

ლენინის უბნის ლოტკის ქუჩაზე არის ახლად გაშენებული ბაღი. ეს ბაღი არის ძალიან კარგი და კარგადაც მოწყობილი. არის დასაჯდომი სკამები და სხვა, მაგრამ რად გინდათ! ეს ბაღი დღე და ღამე სულ დაკეტილია. ხალხი მიდის ბაღის კარებთან, სთხოვს დარაჯს, რომ კარები გაუღოს, მაგრამ ის არ აღებს; ალბად მას არ აქვს დაკისრებული.

მუშა ხიტნელი.

ალაგმეთ ეს ქუჩის ავარები

(მილიციის საყურადღებოთ).

22 აგვისტოს, ღამის 12 საათზე ვილაც ღვინით გალეშილი ავარა ეტლით მიადგა ოსიპოვის ქუჩაზე სახ. № 9 და 11. ასტეხა ქუჩაში აურ-ზაური და ბოლოს რევოლვერიდანაც ისროლა. ასეთი ავარები ბევრი გვყავს, რომელნიც ღამით ქუჩებში დაეხეტებიან და მოსახლეობას მოსვენებას არ აძლევენ.

მილიციავ, ამ ავარების ალაგმვა შენი საქმეა! მუშკორი თვალი.

ეს ვისი ბრალია?

(აღმასკომის საყურადღებოთ).

აგარაკ კოჯორზე ბინის მიღების საკითხი ამ სეზონის დასაწყისში ძალიან მწვავედ იდგა. ბევრი მუშა-მოსამსახურენი უარით გაისტუმრა მაშინ ამხ. ჩხეტიამ „**თავისუფალ თახების უქონლობის გამო**“ (?). სინამდვილეში კი ვხედავთ, რომ ბევრი სახლები სრულიად თავისუფალია და კარგამოკეტილია ეხლაც, რის გამო სახლები ნესტიანდება და ფუჭდება.

აქ მეურნის ხელი არ სჩანს და საჭიროა გამოირკვეს, თუ ეს ვისი ბრალია. ლენინელი.

რად მტანჯავთ, ან რად მჩაგრავთ

(თბილისის დამზღვევ სალაროს საყურადღებოთ)

საჭიროა ყურადღების მიქცევა

მე ვარ ტფილისის დამზღვევი კასის წევრი. შემეძინა შვილი ა. წ. 28 თებერვალს. უნდა მესარგებლნა მშობიარობის ერთდროული დახმარებით და რძის ფულით, მაგრამ ასეთები დღესაც არა მაქვს მიღებული. ტფილისის დამზღვევმა კასამ ორჯელ მიმართა სენაკის დამზღვევ კასას, ვინაიდან მშობიარობა მოხდა სენაკის მაზრაში, გაეცათ კუთვნილი ფული, მაგრამ სენაკის დამზღვევმა კასამ უარით მიპასუხა, ვინაიდან მას არ ჰქონია სათანადო კრედიტი გახსნილი ასეთებისათვის ცენტრის მიერ. სენაკის დამზღვევი კასის მიერ წარდგენილია სათანადო მომართვა დაუკმაყოფილებლობაზე, რომლის შემდეგ ზომები უნდა მიიღო ტ. დ. კასამ. მაგრამ ტფილისის დამზღვევი კასა ყურადღებას არ აქცევს და დღემდე არა მაქვს მიღებული.

ასეთებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მე არა მაქვს საშვალება ხარჯების გაწევით რომ ვიარო ტფილისში და სენაკში, და მიმოწერით საქმე ვერ სრულდება.

ვითხოვ იმას, რაც მეკუთვნის.

ც. 3. შ. კურსანტი

რაფიელ კუპუნიძე.

საშინლად დამსაჯეს

(ქ. სამტრედიის პროფბიუროს საყურადღებოდ)

მე ვმსახურობდი მარნის თემის მთლიანი კოოპერატივის ერთ-ერთ განყოფილებაში ნოქრად.

თითქმის ყოველდღიურათ მიხდებოდა საქონლის წაღება მთავარ საწყობიდან ჩემს განყოფილებაში ტვირთით, რაც ამ პაპანაქება-სიცხეში ძლიერ მღალავდა. ერთხელ ძლიერ დაღლილმა საქონელი მოვიტანე განყოფილებაში იმ დროს, როდესაც მუშები ქარხნიდან სახლში მიდიოდნენ და მომთხოვეს სხვადასხვა საქონელი.

სხვათაშორის ერთმა მათგანმა მომთხოვა ფეხსაცმელის „მაზი“ და, რადგანაც ახალი მოტანილი მქონდა, მე გადავხედე საქონლის სიას და შეცდომით 23 კ. „მაზი“ მივყიდე 30 კ. შეცდომა მაშინვე ვაღიარე, მაგრამ ამით ისარგებლა ჩემმა კერძო მტერმა, რომელმაც აამხედრა ჩემს წინააღმდეგ მომჩივანი. ყოველივე ამას მოჰყვა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა.

ამგვარად ულუკმაპუროდ დამტოვეს ქუჩაში.

მოვითხოვ სამართალს.

მოქ. გიორგი გოგიშვილი.

აი რაზე ვჯავრობთ

(მუშათა საუბრიდან)

ერთი დამსვენებელი მუშათაგანი ეკითხება მეორეს:

— იქნებ შენ იცი, ამხანაგო, ვინა სცხოვრობს აი იმ სახლებში?

— იქა ცხოვრობს, ჩემო კარგო, წაღვერის თემაღმასკომის თავმჯდომარე.

— ალბათ, ისიც თუ ისვენებს,—შეეკითხა ცნობისმოყვარე დამსვენებელი ამხანაგი.

— კი არ ისვენებს, არამედ ცხოვრობს თავისი ცოლით, შვილებით და მთელი ოჯახით,—უპასუხებს ამხანაგი.

— და მერე, მე კაი კაცო, ეს ხომ კეჩხობია და აქ მარტო დამსვენებლები უნდა იყვნენ, კერძო პირს აქ რა უნდა?

— მართალი ხარ, მაგრამ...

— ალბად პროფსაბჭოს ნებართვით იქნება...

— ეს ღორების ჯოგი ვისია?

— ვისი უნდა იყოს,—თემაღმასკომის თავმჯდომარეს ეკუთვნის.

— ბატები.

— ეგეც მისია.

— ქათმებიც?

— ჰო მეთქი.

— მერე ანტი-სანიტარია?!

— შენ, ჩემო ძმაო, გიჟი ხარ ვიღაცა, რას ჩამცივიხარ.

— კი მაგრამ... თუ კეჩხობის დასასვენებელ სახლებში მოსამსახურეთ არ შეუძლიათ თავიანთი ღორები გამოკვებონ სასადილოში დარჩენილი გადანაყარით, როგორ მოხდა, რომ თემის აღმასკომის თავმჯდომარეს ასეთი უფლება მიანიჭეს, რომ მისი ღორი, გოჭები და თანაც ამოდენა ბატები ჰქმნიან ანტი-სანიტარიას,—ამაში მაქვს საქმე, ჩემო ძმაო, შენ კი ჯავრობ.

მუშა ყ—ნი.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან).

— **აბანო მუშებს.** წაღვერის რაიონის რკინისგზელთა საერთო კრებამ მიმართა რკინის გზის სამმართველოს ააგოს მუშებისათვის ცემში აბანო.

— **დათვალიერება.** თბილისის დეპოს ადგილკომმა დაადგინა მოახდინოს მუშათა სპეცტანსაცმელების დათვალიერება. დათვალიერება დაიწყება აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

— **აბანოები.** თბილისის წყალსაქაჩავთან და სამასალო საწყობთან სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბანმა მოაწყო აბანოები.

— **ლიანდაგის გამოცვლა.** ა/კ. რკინის გზის სამმართველო ამჟამად აწარმოებს მე-278—279 ვერსზე ლიანდაგის გამოცვლას.

— **დახურული ბაქანი.** სად. მეტეხთან მოეწყო დახურული ბაქანი მგზავრებისათვის სალიანდაგო სამსახურის მე-6-ე უბნის მიერ.

— **შეკეთება.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა მიმართა სალიანდაგო სამსახურის პირველ უბანს სამოსწავლო წლის დაწყებამდის მოახდინოს რკინისგზის სკოლების შეკეთება.

— **ახალი იარაღები.** სად. შულავერის საწარმოო თათბირმა მიმართა ადმინისტრაციას დაურიგოს მუშებს სამუშაოზე ახალი იარაღები.

გამოგზავნილი წერილებიდან

დაგვიტანჯეთ უწყლოდ

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოთ).

წყნეთის ქ. სახლი № 2 არის ნაციონალიზაციაქმნილი. მასში სხვათა შორის მოთავსებულია მე-18 შრომის სკოლა. ეს სახლი ყოველთვის დიდს უსუფთაობას განიცდიდა. 8 ივლისიდან კი წყალიც დაგვიკეტეს და დღემდე წყალს არ გვიხსნიან. სახლი მთლად გაბინძურდა. დაზიანებული მილებიდან გამომდინარე წყალი წინეთ მთელი წლის განმავლობაში ჟღინთავდა კედელს და შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს სულ დაინგრევა.

ამ სახლს მოვლა-პატრონობა სჭირდება და წყალიც უნდა გაგვიხსნათ.

აკაური მდგმური.

მეტის მოთმენა შეუძლებელია

(შრომის კომისარიატის [illegible]ინსპექციის საყურადღებოთ).

ს. წინანდლის სახ. მ[illegible] ნარდათ მომუშავე მეკოდე [illegible]მუშები ვერას დროს ვერ იღებენ შრომის ხელფასს დანიშნულ ვადაზე. აგერ ოთხი თვე უკვე გავიდა რაც მათ ვერ მიუღიათ ხელფასი. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ უკვე ორი კვირაა მას შემდეგ, რაც არ გვაძლევენ ახალ სამუშაოსაც.

ჩვენც მუშები ვართ, კავშირის წევრები. დაიცავით ჩვენი ინტერესები.

იქ მომუშავე.

130

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა თბილისში

1926 წელს თბილისში მოეწყობა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე განზრახულია გაიხსნას 18 ძირითადი განყოფილება. ექსპონატების რაოდენობის მხრივ ყველაზე უფრო მდიდარი იქნება მემინდვრეობის განყოფილება, რომელიც გაიყოფა ოთხ ქვეგანყოფილებათ: ა) ნიადაგის დასამუშავებელი იარაღები და მანქანები, ბ) სათესი მანქანები და იარაღები, გ) მოსავლის ასაკრეფი იარაღები და მანქანები და დ) სალეწი, საწმენდი და მოსავლის გადასამუშავებელი იარაღები და მანქანები.

დანარჩენი განყოფილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: მებაღეობის, მეზოოტექნიის(?), მევენახეობის და მეფუტკრეობის განყოფილებები, სატყეო საქმე, მავნებლებთან ბრძოლის საშუალებები, მეაბრეშუმეობის განყოფილება, მერძეობა და სხვა.

რაც შეეხება ექსპონატების რაოდენობას, უნდა ითქვას, რომ თვითეული სისტემისა და მარკისათვის დაწესებულია ექსპონატების განსაზღვრული რაოდენობა და ეს რაოდენობა გამოიხატება სხვადასხვა ციფრებში. გუთნებისათვის მაგალითად, ეს რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს, მსხვილი თესლისათვის არა უმეტეს 10 ფუთისა, შაქრიანი და გოგირდი არა უმეტეს 5 ფუთისა და სხვა.

იმ მიზნით, რომ გამოფენამ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოიტანოს, გამოფენის მიმდინარეობის დროს ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მოხდენილი იქნება გუთნების, ტრაქტორების, სხლეწი მანქანების და ფრეზერების გამოცდა, ყველა დანარჩენი მანქანები კი ნაჩვენები იქნება მუშაობის დროს. ამას გარდა წაკითხული იქნება ლექციები.

გამოფენისათვის განზრახულია გამოყენებული იქნეს დოღის მოედანი, როგორც ყველაზე უფრო მოხდენილი ადგილი როგორც თვით გამოფენისა, ისე გამოფენაზე ჩამოსულ ექსპონატების გადმოსატვირთავად.

გამოფენაზე ნაჩვენები იქნება აგრეთვე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ გამოწერილი ორი გუთანი, რომლებიც ამღვრავად ფხვნიან მიწას, რომ სახვნელი აღარ არის ფოცხი.

საკავშირო ავტო-გადარბენა

მოსკოვი, 23 აგვისტო. 22 აგვისტოს წითელ მოედანზე გაიმართა გადარბენაში მონაწილეთა ავტომობილების აღლუმი.

აღლუმზე გამოცხადდენ წარმომადგენლები მთავრობისა, დიპლომატიურ კორპუსისა, მოსკოვის საბჭოსი, პარტიულ-პროფ. ორგანიზაციებისა და ავტოკლუბისა. იქვე იმყოფებოდენ ამხ. ენუქიძე, იაროსლავსკი, სემაშკო, პორტნიკოვი და გადარბენის კომიტეტის ყველა წევრები.

დილის 8 საათზე ყველა ავტომობილები მწკრივათა სდგანან მოედანზე.

9 საათზე გაიხსნა გამოსამშვიდობებელი მიტინგი. ამხ. ენუქიძემ მიმართა სიტყვით და უსურვა მშვიდობით და გამარჯვებით დაბრუნება მოსკოვში.

ამის შემდეგ დაიძრა პირველი მანქანა. იმის ყოველი ნახევარ წუთის შემდეგ მისდევენ სათითაოდ სხვა დანარჩენი ავტოები. ამგვარათ წავიდა სულ 95 მსუბუქი მანქანა, 47 საბარგო და 28 მოტოციკლეტი.

ხალხი დიდ ოვაციებს უმართავს მოგზაურებს, რომლებიც მიემართებიან ტულისკენ.

ტულა, 23 აგვისტო. 12 ს. და 30 წ. ტულაში მოვიდა პირველი მსუბუქი ავტომობილი, რომელსაც ჩქარა მოჰყვენ ყველა სხვა დანარჩენი მანქანები.

მათ პატივსაცემათ ტულაში მოწყობილ იქნა საზეიმო შეხვედრა.

საჭირო მასალით დატვირთვის შემდეგ მსუბუქი მანქანები გაემართენ ორიოლისაკენ.

საბარგო მანქანები და მოტოციკლეტები ღამის თევით რჩებიან ტულაში.

მოსკოვიდან—ტულამდის არავითარ უბედურ შემთხვევებს არა ჰქონია ადგილი.

ორიოლი, 23 აგვისტო. პირველი მანქანები მოვიდენ 22 აგვისტოს, საღამოს 4 ს.

ორლოვის მცხოვრებნი დიდის აღტაცებით მიეგებენ მოგზაურებს.

ტულასა და ორიოლს შუა გზა ცოტა უფრო ცუდია, ვიდრე მოსკოვსა და ტულას შუა.

გლეხები ყვავილებით ამკობდენ გზაში ავტომობილებს.

23 აგვისტოს, დილის 7 საათზე გაიმართება ავტომობილების პარადი კურსკ-ხარკოვისაკენ გამგზავრების წინ.

კურსკი, 24 აგვისტო. 23 აგვისტოს პირველი მანქანები ჩავიდენ კურსკში. ქალაქის მთელი მოსახლეობა გამოვიდა გადარბენის მონაწილეთა შესახვედრათ.

პირველათ მოვიდა „მერსედეს“-ი.

ბენზინის, ზეთის და შინების მომარაგების შემდეგ მანქანები გაემგზავრენ ხარკოვში. ხარკოვის გზაზე გლეხები ჯგუფ-ჯგუფათ გამოდიოდენ მიმავალი მანქანების შესახვედრათ.

სიძნელენი ორიოლ-კურსკის გზაზე

კურსკი, 24 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს გადარბენის ხელმძღვანელებმა ბრილინგმა და ლიტვინსკიმ აღნიშნეს სიძნელენი, რომლებიც შეხვდათ მანქანებს ორიოლ-კურსკის გზაზე. გზები ცუდ მდგომარეობაში იყო წვიმის შემდეგ.

გადარბენა კარგათ მიმდინარეობს.

ყველა ხელმძღვანელები აღნიშნავენ რუსული რეზინის კარგ ღირსებას.

გადარბენა კურსკი-ხარკოვი

ხარკოვი, 24 აგვისტო. კურსკი-ხარკოვის გადამრბენ მანქანებმა ნაწილობრივ დიდი წვიმის ქვეშ გაიარეს. ახლო-მახლო ქალაქების და სოფლების მოსახლეობა გულღიათ ხვდებოდა გადარბენის მონაწილეთ.

წვიმამ გადაიღო იმ დროს, როდესაც მანქანები მიუახლოვდენ ხარკოვს. ფინიშთან მანქანებს შეხვდა აუარებელი ხალხი.

გადარბენის მონაწილეთათვის გაიმართება ბანკეტი, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ უკრაინის მთავრობის წევრები.

24 აგვისტოს დაიწყება გადარბენის ძნელი ეტაპი—ხარკოვი-არტემოვსკი და სხვა ქალაქები, სადაც მოუკირწყლავი გზებია.

მზადება თბილისში

გადარბენაში მონაწილე ავტომობილებს თბილისში მოელიან 30 აგვისტოს ნაშუადღევს. სულ მოდის 90 მანქანა.

24 აგვისტოს ამხ. შ. ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა ავტოგადარბენისათვის ხელშემწყობი კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა საინფორმაციო მოხსენება ავტომობილების დასაყენებელ პარკის მდგომარეობის შესახებ, შესახვედრ თაღის შესახებ და საერთოდ ყველა ორგანიზაციული საკითხების ირგვლივ.

სხდომაზე გადაწყდა, რომ კავკავში ავტომობილების შესახვედრათ გაემგზავრება კომიტეტი.

კინო-ოპერატორის მიერ გადაღებული იქნება გადარბენის ცალკე მომენტები:

კავკავში, დარიალის ხეობაში, ყაზბეგში, დუშეთში და ფინიშზე (გადარბენის დამთავრების ადგილას) თბილისში.

თბილისში შემოსვლის მარშრუტი შემდეგია: რუსთაველის პროსპექტით ავტომობილები გავლენ თავისუფლების მოედანზე, იქიდან პუშკინის ქუჩით-პლეხანოვის პროსპექტზე, შემდეგ ჩაუხვევენ პასტერის ქუჩაზე და კამოს ქუჩით შევლენ თბილისის მე-21 სამხედრო სკოლაში—სადგომ პარკში.

სხდომაზე დაისვა საკითხი ჯილდოების დარიგების შესახებ და ამის თანახმად განზრახულია თითო ჯილდოს მიცემა: საბჭოთა კავშირის ავტომობილის საუკეთესო მესაჭისთვის და უცხოელი მესაჭისთვის.

თბილისში ავტომობილების ჩამოსვლის გამო გაიმართება ბანკეტი.

წერილები პროვინციიდან

დაბრუნებული უდინები

ნუხის მაზრის სოფ. ვართაშენის მიდამოებში მოსახლეობდნენ უდინები *), რომელნიც კულტურულ მეურნეობას ეწეოდნენ და ენერგიული შრომით ამშვენიერებდნენ ბაღ-ვენახებს და სახლ-კარს.

მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო და რამოდენიმე დარბევა-აწიოკების შემდეგ ქართველი უდინები იძულებული შეიქნენ დაეტოვებინათ ნაამაგდარი სახლ-კარი, გამშვენიერებული მეურნეობა, საკუთარი ძალ-ღონით დამუშავებული მინდორ-ველები და გადმოსახლებულიყვნენ საქართველოში.

გადმოსახლება მოახერხა მხოლოდ 40 კომლმა, ამდენივე დარჩა ადგილობრივად და მოუთმენლად ელიან იმ ჟამს, როდესაც ისინიც შესძლებენ დაუბრუნდენ საქართველოს საზღვრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1923 წელში მათი გადმოსახლება კახეთის ლამაზ მინდორ-ველებზედ მოხდა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მხურვალე მონაწილეობით და ხელის შეწყობით, რასაც ქართველი უდინები განსაკუთრებით აფასებენ.

ახლაც სჩანს ძველი ნამოსახლარი, როდესაც ისინი დაბინავებულან მიწურებში და პირველ ხანს დიდი გაჭირვება გადაუტანიათ, მაგრამ დღევანდელი სურათი სულ სხვაა. სოფელი უკვე გაშენებულია ახალ ადგილზედ, მშვენივრადაა დაგეგმილი და ყველა გადმოსახლებულები სცხოვრობენ ახლად გაშენებულ სახლებში.

ახალ გადმოსახლებულთა სოფელ ზინობიანის 700 დესეტინა ტყე, რომლიდან 300 დესეტინა უკვე გაკაფულია, სავსებით დანიშნულია მიწის ფონდში გადასაცემით და უნდა გაიკაფოს პირ-წმინდათ. ქართველი უდინები ფიქრობენ განთავისუფლებულ მიწაზე, გარდა სხვა სახის მეურნეობისა, აწარმოვონ ბრინჯის მეურნეობაც, რომლის მოვლა-მოყვანა მათ კარგად იციან და ეკონომიურადაც ძალიან ხელსაყრელი იქნება.

ზინობიანი კულტურულადაც არ ჩამოუვარდება სხვა ძველ სოფლებს. აქ არის საკუთარი სკოლა, კოოპერატივი, გახსნილია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და წითელი ჯვრის სამკურნალო პუნქტი.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სოფელს უკვე მოუსწრია ამ მოკლე ხნის განმავლობაში კრამიტის ტყავეულობის და სახერხი ქარხნების აშენება. ერთი სიტყვით, აქ მთელი წარმოებაა.

სოფლის ახლო მდებარე ტყეთა სიუხვე ხელს უწყობს სახერხ ქარხნის არსებობას, სადაც ყოველდღიურათ იხერხება 300-დან 400 ოთხკუთხ გოჯამდე საალმშენებლო მასალა. ქარხანაში სდგას 16 ძალიანი ორთქლძრავი და ორი დაზგა, მასალა მიდის როგორც ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე მეზობელ სოფლების საჭიროებისათვის.

კრამიტის ქარხანა ყოველდღიურათ ამზადებს 700-800 ცალამდე მარსელის კრამიტს. ეს სულ ახალი გამოგონებაა ამ კუთხეში და სასიამოვნოდ გრჩებათ, როდესაც უყურებთ ამ ლამაზ კრამიტით გადახურებულ კოხტა სახლებს. ტყავეულობის ქარხანა კი გარდა ლანჩისა ამზადებს ყოველგვარ სახის ნაწარმოებს (ხრომი, შევრო, შაგრინი და სხვა).

ტყეში—სოფლიდან 4 ვერსის დაშორებით ქართველ უდინებს მოუგნიათ მინერალურ წყლისათვის და აქ გაუშენებიათ დროებითი აბანო, სადაც ყოველივე მახლობელ სოფლებიდან დაიარებიან სამკურნალოთ ქარებით შეპყრობილი სნეულები.

სახმარებელი წყალი დაშორებულია სოფლიდან 1 ვერსნახევარ მანძილით, გამოდის კლდის ძირას შიგ ტყეში. დასალევათ იშვიათი გემოსია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ დაშორებულია სოფლიდან და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მისი მილებით სოფელში გამოყვანა. სოფელი ამას თავისთავად ვერ შესძლებს, თუ არ ექნა გარეშე დახმარება.

ასეთი მიღწევების მიუხედავათ, სოფელს დღეს-დღეობით მაინც ემჩნევა საერთო გაჭირვება და ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩენილა გასაკეთებელი. საჭიროა კვლავ როგორც მთავრობის, ისე ყოველივე მოქალაქის განუწყვეტელი დახმარება, რათა ქართველ უდინებს მიეცეთ საშუალება მოაწყონ თავიანთი მეურნეობა და მომაგრდნენ ეკონომიურად, რასაც ექნება დიდი თვალსაჩინო მნიშვნელობა მეზობლად მდებარე სოფლებისთვისაც.

დასასრულ აღსანიშნავია ის თავდადებული ამაგი, რომელიც მიუძღვის ამხ. ზინო სილიკაშვილს ამ სოფლისადმი; იგი თავის თაოსნობით და დაუღალავი ენერგიით წინ მიუძღვის გადმოსახლებულთ და არ ზოგავს არაფერს მათ საკეთილდღეოთ. მადლიერმა სოფელმა მის პატივსაცემათ. სოფელს დაარქვა „ზინობიანი“.

გ. ზაიდაშვილი.

---

*) უდინები იგივე ქართველებია, რომლებიც გადასახლებული იყვნენ საქართველოდან საშუალო საუკუნოებში მაშინდელ მეფეების ბრძანებით, რომ საქართველოს გავლენა და მოსახლეობა გაეძლიერებიათ მათ მიერ დაპყრობილ ადგილებში. უდინები ეხლაც ქართულად ლაპარაკობენ. ნაწილი იმათგან მაჰმადიანებია, ნაწილი გრიგორიანები და ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანები.

გ. ბ.

საგარეჯოს ტკივილები

საგარეჯოს ინტელიგენცია დიდ უნარს და ფხას იჩენს მარტო სათეატრო საქმიანობაში. წარმოდგენები სისტემატიურათ იმართება და გლეხკაცობაც დიდი ხალისით ესწრება. მაგრამ სხვა მხრივ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს.

აღსანიშნავია, მაგალითად, საგარეჯოს ბაღ-ვენახში ხშირი ქურდობა. სამწუხაროთ ამას სჩადიან ადგილობრივ სკოლების მოწაფეებიც. აშკარაა, სკოლებში აღზრდას, სოციალურ ზნეობის ჩანერგვა-განვითარებას ყურადღება არ ექცევა.

შეუგნებელი ოჯახი ხანდისხან ხელსაც უწყობს ამ მეტის მეტად ცუდ მოვლენას. ნაქურდალი ხილით დატვირთულ ყმაწვილს დედა ხელგაშლილი ეგებება: „ქა, დედა გენაცვალოს, რა ადრე ეჩვევი სახლში დოვლათის შემოტანას“-ო.

არავინ ზრუნავს გარდა ამისა, სოფლის კეთილმოწყობა—სანიტარულ მდგომარეობაზე. მეტისმეტი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს საგარეჯოს შენობები. ისე გგონია, არც ერთი სახლი არაა დათავებული.

სხვადასხვა შენობები დომხალივითაა ერთმანეთში არეული: საცხოვრებელ სახლს, გომს, საბძელს და სხვას ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ. კალო ზედ სახლის წინაა გაკეთებული. მტვერშია მთელი სოფელი გახვეული: საშინელი ჭუჭყი და სიბინძურეა, აყარებული ქვები მიყრილ-მოყრილი. არც ერთ სახლს ეზო არა აქვს.

შეუძლებელია სანიტარიაზე ფიქრი, თუ კალოები არ იქნა სოფლიდან გატანილი. სხვათა შორის ამ მიზეზით ბაღ-ვენახებში ჩაფლულ საგარეჯოში სრულიად განადგურებულია მეფუტკრეობა, რადგან კალოს მტვერი საშინლათ ანადგურებს ფუტკარს.

სასწრაფოდ უნდა დაარსდეს და ამუშავდეს თემის სანიტარულ-ტექნიკური კომისია.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის წყლით სარგებლობის საკითხი ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა. კერძოთ გარე-კახეთში და ს. საგარეჯოში ეს საქმე სრულიად მოუწესრიგებელია.

მთელი რაიონისთვის მერაბათ ამოურჩევიათ მასწავლებელი. ზამთარში ის თავის მოვალეობას ასრულებს, ზაფხულში მასწავლებელთათვის მოწყობილ კურსებზეა. მისი ნაცვალი და მერუეები წესიერათ ვერ ასრულებენ მოვალეობას. საგარეჯოში, ამბობენ, მერუეები იმათ ბაღ-ვენახებს მორწყავენ, ვინც მერუეების კუჭს ღვინო-არაყით მორწყავსო.

საგარეჯოს თემის კედლის გაზეთში აღნიშნეს ეს სიმახინჯე. დამნაშავეთ უნდოდათ თავის მართლება, მაგრამ ვერ გაახერხეს. დიდ უსიამოვნებას, მითქმა-მოთქმას, წყლის გაწყვეტას უდროვო დროს, მოპარვას და სხვა უწესოებას აქვს ადგილი, ხშირათ ერთმანეთის ჯიბრზე წისქვილსაც აჩერებენ უმიზნოთ.

საქართველოს წყლის სამმართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს გარე-კახეთს. მერაბათ დანიშნოს ისეთი კაცი, რომელიც ამ დიდ საქმეზე მოიცლის, მერუეებს და ნაცვალს კანტროლს გაუწევს და წყლით სარგებლობის საქმეს მტკიცე კალაპოტში ჩააყენებს.

საგარეჯოში ძველებურად, მამაპაპურად დადის ხეზე მოვაჭრე ებრაელი და „ფართალ, ფართალს“ იძახის. ასეთი მოვაჭრეები და მეწვრილმანეები საგარეჯოში ათიოდე კაცი იქნება. თავს დასტრიალებენ გლეხებს, მოდიან კალოზე და აჩალებენ აღებ-მიცემობას.

რასაკვირველია, გლეხი ყოველთვის აგებს ამ ვაჭრობაში, მაგრამ მას მაინც ისეთ ვაჭართან ურჩევნია საქმის დაჭერა, რომელიც საქონელს კარზე მოუტანს.

გლეხს არ მოსწონს, რომ კოოპერატივში ცდა უხდება. გარდა ამისა ზეზე მოვაჭრე კალოზე ხორბალს უფრო ძვირათ იღებს, ვინემ კოოპერატივი.

ამას ყურადღება უნდა მიაქციოს კოოპერატივმა. მან მეტი მოქნილობა უნდა გამოიჩინოს, უკეთ მიუდგეს გლეხის მოთხოვნილებას.

როგორც ვიცით, მორიგ ლოზუნგათ გამოცხადებულია საბჭოთა კანონიერების დაცვა და განმტკიცება. ფუჭი იქნება ყოველგვარი ცდა ამ მიმართულებით, თუ ხალხში არ შევიდა ერთნაირი რევოლიუციონური უფლებრივი შეგნება.

აბა როგორ შეიძლება კანონიერების განმტკიცება, როდესაც საგარეჯოში ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: კალოზე გახურებულ მუშაობის დროს, როცა ადამიანს და პირუტყვს ირგვლივ ტრიალისაგან თავბრუ ეხვევა, ასეთ დროს მილიციის წარმომადგენელი ხსნის სამუშაოდან მუშას და მიყავს თემში დასატუსაღებლად, რადგან იმან არ შემოიტანა სამი მანეთი მინდვრების გასაყოფად გაწეული ხარჯების გასასტუმრებელი.

გლეხკაცობა ცოტათ დამშვიდდა საქართველოს ცაკის აპრილის დადგენილების შემდეგ, ის რწმუნდება, რომ მას შემდეგში მაინც წარამარა მიწას არავინ არ ჩამოართმევს. მაგრამ რანაირი ნერვიულობა შეიქნა, როცა ს. მანავის ხაზკომ დაწესებულებათათვის შენობების ასაგებად პატარა, კულტურულად დამუშავებული მიწა ჩამოართვა მანავის მცხოვრებ დუჩიძეებს. მანავის დადგენილება საგარეჯოს თემის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა, და რაც გასაკვირველია, თემს დასტური მისცა ტფილისის მაზრის აღმასკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტურო განყოფილებამ და თავის სანქცია საგარეჯოს შეატყობინა, მხოლოთ დაავალა სამაგიეროს მიცემა.

თუ სხვას დაავიწყდა, თბილისის აღმასკომის განყოფილებას მაინც უნდა სცოდნოდა ივლისის სესიის საქ. ცაკის დადგენილება ბიუჯეტის შესახებ. არამც თუ ახალი შენობის აგება, კაპიტალურ რემონტზე ხარჯებიც კი ცნობილია ცაკის მიერ მეორე ხარისხოვან ხარჯებათ და დასაშვებია როგორც გამონაკლისი. განა შეიძლება კულტურული მიწის ნაჭერის ჩამორთმევა იმისათვის, რომ ოდესღაც მაზე რაღაც უნდა აშენდეს?

ყოვლად დაუშვებელია ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ცენტრის დადგენილების ასეთი გაბიაბრუება.

სტუმარი.

წერილებიდან

უსარგებლოთ ეკარგავთ დღეებს. ხობის უბნის (ზუგ. მ.) მოსამართლე შოშია წავიდა შვებულებაში ერთი თვით, მის მაგიერ ზუგდიდიდან უნდა ჩამოსულიყო დარასელია. მდივანმა დანიშნა საქმეების გარჩევის დღეები. გლეხები მოდიან, მთელი დღეობით ელოდებიან მოსამართლეს, მაგრამ ის არ ჩამოდის. არის შემთხვევა, როცა ერთი საქმე სამჯერ გადაიდო მოსამართლის არ მოსვლის გამო.

ხეთელი ბუშბუდა.

—

ოცი დღე სოხუმიდან ქრებალომდე. მართალია სოხუმი დაშორებულია ქრებალოს, მაგრამ ატუხეთიდან რაგამდი ჩასვლას ოცი დღე რკინის გზის და ჰაეროპლანების დროში არ უნდა სჭირდებოდეს. მით უფრო დეპეშას. მიუხედავათ ამისა, ეს ასეა. 22 ივნისს გაგზავნილი პასუხგადახდილი დეპეშა ქრებალოში, რომელიც ოცი დღის შემდეგ მივიდა დანიშნულებისამებრ და ისიც აღნიშნული არ ყოფილა, რომ ფასი გადახდილია. გარდა ამისა, ქრებალოს ფოსტა მეტის-მეტ ცნობისმოყვარეობას იჩენს. განყოფილებიდან იშვიათად გამოდის გაუხსნელი და წაუკითხავი წერილი.

კალ. დავითულიანი.

—

არც ხიდნაღის ფოსტაში რიგზე ყველაფერი. ამას წინათ გვესტუმრა ჩვენი ფოსტის განყოფილების რევიზიისათვის ყამარაული და ცაგარეიშვილი. როგორც კი რევიზია წავიდა, სადამოს შვიდ საათზე კანტორაში შემოვარდა ფოსტის უფროსის თმაგაწეწილი ცოლი და ერთი ამბავი დაგვაწია მოსამსახურეთ: „თქვენი ბრალია, თქვენ მოაწყვეთ ეს რევიზია, რომ ჩემი საწყალი ქმარი დაგეღუპათო“. მოსამსახურეებმა დიდი მოთმინება გამოიჩინეს თავი მოარიდეს სახელმწიფო დაწესებულებაში აყალ-მაყალს, თორემ საქმე უდავიდარაბოთ არ გათავდებოდა. ეს პირველი შემთხვევა არაა ქ-ნ ფოსტის უფროსის მეუღლისაგან.

ულიმაძე.

სოფლის ქრონიკა

— **ახალი ხიდი.** სენაკის მაზრის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ დაამთავრა მდ. ცივზე ხიდის აგება.

— **გზების და ხიდების შეკეთება.** სენაკის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს ყველა გზები და ხიდები სოფ. მარტვილსა და გაჭედილის შორის.

— **აბაშის ელსადგურის** საჭიროებისათვის სენაკის აღმასკომმა დაადგინა აიღოს დამატებითი სესხი ელექტრო-ბანკიდან.

— **მიწადმოწყობა.** სოფ. ხიდისთავში ადგილობრივ ღარიბ მცხოვრებთათვის სამოსახლო ადგილის მისაცემად სათემო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა გორის აღმასკომის წინაშე დაჩქარებულ იქნეს იქ მიწადმოწყობის საქმის ჩატარება.

— **სახერხი ქარხანა.** ახალციხის სამაზრო გლეხკომი ხსნის სახერხ ქარხანა აწყურის თემის სოფ. აგარაში.

— **გზის გაყვანა.** სოფ. წინუბანსა და გურკელას შუა (ახალც. მაზრა) გლეხკომს გაყავს ახალი გზა.

— **სახალხო სახლი.** ძირბის თემაღმასკომმა დაადგინა იშუამდგომლოს სამაღმასკომის წინაშე, რომ ბრეთის სახალხო სახლის შენობა ჩამოერთვას კერძო მეპატრონეებს და გადაეცეს სოფელს.

სოფლის ფოსტა

ამხ. კუნჭულიას (სურები). თქვენი წერილი გადაეცა „მუშის“ რედაქციას, რომელიც მოახდენს თქვენს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდების შესახებ კვლევა-ძიებას.

იურიდიული რჩევა-დარიგება

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება

კითხვა

მე ვმსახურობდი მე-16-ტე საგადასახადო უბანში ბუხჰალტრის თანამდებობაზე, საიდანაც ვიქენ ადმინისტრაციის მიერ მოხსნილი სრულიად უდანაშაულოდ, ექვსი თვის შემდეგ დღიდან ჩემი მოხსნისა ვიქენ აღდგენილი ჩემსავე უფლებებში და მამუშავეს დროებით სამუშაოზე და ჯამაგირებიც მივიღე განამცდარი თვეებისა. ეხლა კი ადმინისტრაციამ ისევ მომხსნა „შტატის უქონლობის“ გამო ჩემს ძველ ადგილზე (შტატის სამსახურზე) კი ისევ სხვა მუშაობს, რომელიც ჩემს შემდეგ არის მიღებული.

გთხოვთ მიპასუხოთ,—აქვს თუ არა უფლება ადმინისტრაციას მომხსნას სამსახურიდან, და თუ არა აქვს გთხოვთ მიმითითოთ საშუალებებზე.

გ. ბოჭორიშვილი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის § „ე“ს, ამ | კავ. შრომის სახკომატის 1925 წ. 16 იანვრიდან განმარტებისა, ადმინისტრაცია ვალდებული იყო თქვენი უფლების აღდგენის შემდეგ თქვენთვის დაებრუნებია ან თქვენი უწინდელი სამსახური, ან და მიეცა თანაბარი კვალიფიკაციის სამუშაო თანაბარივე შრომის ხელფასით.

თქვენ გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოს.

რა მეკუთვნის შრომის ჯილდოთ

კითხვა:

ვმსახურობ სოფ. მეჯვრისხევში, (გორის მაზრა) მთლიან კოოპერატივში მოანგარიშის თანამდებობაზე 1924 წლის 5 იანვრიდან დღემდე. ვარ საბმუშაკთა კავშირის წევრი და ვარ დაზღვეული. ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე პირველ მარტამდე 1925 წლის, კოოპერატივის გამგეობის განსაზღვრით თვიური ხელფასი მქონდა 30 მანეთი და ექვსი საათის მაგიერ ვმუშაობდი 10—12 საათს. ამის შესახებ რამდენჯერმე მივეცი წერილობითი განცხადება ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანს, მან არავითარი ყურადღება არ მომაქცია. დაახლოვებით ა. წ. აპრილის 5—6 რიცხვებში ჩამოვიდნენ მაზრიდან პროფბიუროს წარმომადგენლები და დასდეს ადმინისტრაციასთან კოლექტიური ხელშეკრულება, რომლითაც ა. წ. 1-ლ აპრილიდან დამენიშნა თვიური ხელფასი 46 მ. მე-11 ხარისხით. გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი მეკუთვნის წარსული თვეების ე. ი. პირველ აპრილის იქით თვიური ხელფასი და მასთან ერთად ზედმეტი სამუშაოს ჯილდოც.

მოანგარიშე იასონ კობახიძე.

პასუხი:

ხელფასის ის მინიმუმი და შეფარდებანი, რომელიც მიღებულია ორივე მხარეს მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებაში, შესავალდებულოა ორივე მხარისათვის მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელისმოწერის ან და იმ დროდან, რომელიც აღნიშნულია კოლექტიურ ხელშეკრულებაში. თუ კოლექტ. ხელშეკრულებით შრომის თქვენი ახალი ხელფასი არ არის გავრცელებული აპრილის წინა თვეებზედაც, მაშინ თქვენ ვერ მიიღებთ აპრილის წინა თვეებისათვის 46 მანეთს.

ზედმეტი საათების მუშაობისათვის კი, თუ ასეთი აუცილებელი იყო თქვენთვის ადმინისტრაციის დავალებით, თქვენ უნდა მოგეცეთ თანახმად შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 60-სა სათანადო ჯილდო.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— კომკავშირის თ. კომიტეტი იუწყება, ოთხშაბათს, 26 აგვისტოს, დღის 1 საათზე შესდგება თ. კ. საორგ. კოლეგიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა კოლეგიის ყველა წევრებისათვის და აგრეთვე კანდიდატობაზე მისაღებ ყველა ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებისათვის:

კვანტრეშვილი, ედიბერეშვილი, მახარაძე, ლეონიძე, რომანი, ფიცხელაძე, ქიქინაძე, ადამია, მაილოვი, ბაზუნოვი, კომინსკი, შნებდერი, გოლაშვილი, ივანოვა, სულიევი, წულაევი, ხუხუნაშვილი, შათაშვილი, მამუკაშვილი, მარღიევი, კოდოლცევი, ლაშენკო, მედვედევი, აბრამიანი, ტუსიევი, ოკუჯავა, დოროშენკო, ნემკანი, ტოკარევა, კარაპეტიანცი, გაია, სტეპანიანცი, ასატუროვი.

კომკავშირის ც. კ. მდივანი—გობეჩია.

— რემედასის არსრაიონის საბჭო იუწყება: დღეს, 25 აგვისტოს, საღამოს 5 ს. რაიკომის ბინაზე მოწვეულია რემედასის რაისაბჭო.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის: გაიდაი, შმელევი, კლდიაშვილი, ჯოხაძე, მარკოზოვი, კატალევსკაია.

უჯრედების მდივნები: გელიაშიძე, ბარძიმაშვილი, მანიევი, ეტეშვილი, ფერიაშვილი, გებრაძე ავაქოვი, ვართანოვი, მეგრაბიანცი.

საგ.-საპროპ. განყ. გამგე—რონზანი.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 25 აგვისტოს, საღამოს 6 ს. აღმასკომის შენობაში შესდგება სადელეგატო კრება შინა-დიასახლისებთან ერთად.

დღის წესრიგში—მოხსენება საბავშო საერთაშორისო დღის შესახებ.

განცხადებები

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

პარასკევს, 28 აგვისტოს, თბილისში მოწვეულია
გაზეთ „ახალი სოფელი“-ს
გლეხ კორესპონდენტების ყრილობა

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა—ამხ. შ. ელიავა.
2. პარტიის ამოცანები სოფლად და გლეხკორები—ამხ. მ. ოკუჯავა.
3. მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა და მისი ორგანიზაცია—ამხ. გ. მუშიშვილი.
4. კედლის გაზეთი და მისი მნიშვნელობა—ამხ. კ. გორდელაძე.
5. „ახალი სოფელი“-ს რედაქციის მოხსენება—ამხ. პ. საყვარელიძე.

კორესპონდენტებს, რომლებიც მოწვეული არიან ყრილობაზე, ეგზავნებათ ფული სამგზავრო ხარჯებისათვის.

ნის. 1638 1—1 ყრილობის მომწვევი კომისია.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა
ამით აცხადებს
სახელმწიფო, საზოგადოებ. და კერძო
დაწესებულებების საყურადღებოთ
რომ განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს
ყველა მაღაზიები
ამა თვის 8-დან გადავიდა სახელმწიფო გამომცემლობის განკარგულებაში,
რისთვისაც ყოველ შეკვეთისა და საქმის დროს უნდა მიმართონ სახელმწიფო გამომცემლობის მაღაზიებს შემდეგ ადგილებში:
მაღაზია № 1 ცენტრალური საბითუმო და ნაჭრობითი ვაჭრობა. რუსთაველის 22, ტელეფონი 3—89.
„—„ № 2 პლეხანოვის № 98, ტელეფონი 21—11.
„—„ № 3 კახეთის მოედანი № 1, ტელეფონი 18—72.
„—„ № 4 თავისუფლების მოედანი № 3, ტელეფონი 12—71.
„—„ № 5 სადგურისა და გოგოლის ქუჩის კუთხე.
განყოფილებები:
ბათომში—მესამე ინტერნაციონალის ქუჩა № 22. ტელ. № 1; სენაკში რუსთაველის ქუჩა.
ნის. 1624—3—3 სახელმწიფო გამომცემლობის გამგეობა.

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 19 გიორგი ივანეს ძე ცხადაძის სახელზე. ჩ. გ. 2362 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 4739 სურენ იაკობის ძე ხოჯაევის სახელზე. ჩ. გ. 2360 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი და წითელ არმიისაგან მოცემული წიგნაკი დავით პატრიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2359 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ვლადიმერ რაჟდენის ძე ცხვირავაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2364 1—1

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 313 ივანე სახელზე. ჩ. გ. 2366 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო საარიცხვო ბარათი ვასილ ლუკას ძე ჩიმაკაძის სახელზე. ჩ. გ. 2364 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო საარიცხვო ბარათი წოე ლუკას ძე ჩიმაკაძის სახელზე. ჩ. გ. 2365 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ალექსანდრე სილოვანის ძე კოტრიკაძეს სახელზე. ჩ. გ. 2367 1—1

ს.ს.რ.პ. ს.მ.უ.ს.
გაერთიანებული აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები
„შელკოტრესტ“
(„ШЕЛКОТРЕСТ“)
გადავიდა ახალ შენობაში კომინტერნის ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) № 8.
ყოველთვის დიდი არჩევანი ყოველგვარ აბრეშუმის ქსოვილებისა
სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებს ფართო კრედიტი
1637

სააღმშენებლო-სამრეწველო აქციონური საზ-ბა
„სამშენ“-მა
თანახმად დამტკიცებულ დებულებისა, დაიწყო თავისი მოქმედება.
საზოგადოების მიზანია
ყოველგვარი სააღმშენებლო მუშაობა და აგრეთვე სამრეწველო წარმოებათა განხორციელება და ექსპლოატაცია. ქალაქისა და სოფლის აღმშენებლობა, როგორიც არის: აშენება საცხოვრებელ სახლებისა და სხვა ყოველგვარი შენობათა და ნაგებობათა; აშენება და მოწყობა ქარხნებისა, ფაბრიკებისა, წყალსადენის, კანალიზაციის, ცენტრალურ გათბობის, ჰიდრო-ელექტრონულ და სხვა ძალის სადგურების, გაყვანა რკინის და სხვა გზების, აგება ხიდების, სანავთსადგურო ნაგებობათა, არხების და წარმოება სამელიორაციო სამუშაოთა, დამზადება და მიწოდება ყოველგვარი სააღმშენებლო მასალებისა და მოწყობილებათა და სხვა.
საზოგადოების დროებითი მისამართი: პუშკინის ქუჩა № 3. კომუნალური ბანკი ტელეფონი № 7—76.
ნის. 1614—3—8 გამგეობა.

ქრონიკა

სასწავლო სროლა

თბილისის და მისი მიდამოების სამხედრო კომენდანტი აცხადებს, რომ ამ დღეებში იწარმოებს სასწავლო სროლა და აფეთქებანი შემდეგ ადგილებში: საბურთალოზე ზარბაზნებიდან 25 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე; 25 აგვ. საგარნიზონო სასროლ მოედანზე ტყვიისმფრქვევლებიდან; ხოლო 26 აგვ. 26 სექტემბრამდე თბილისის გარე მთებში აწარმოებს ნაღმების აფეთქება.

— **საავარაკო ყრილობა.** საავარაკო ყრილობაზე, რომელიც შესდგება 26 აგვისტოს პიატიგორსკში, წაკითხული იქნება სპეციალური მოხსენებები საერთოდ საქართველოს კურორტებზე და განსაკუთრებით შოვზე და წყალტუბოზე.

— **საზოგადო სამუშაოები.** ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ვერის ხიდთან საბურთალომდე გზის გასაყვანად.

— **წ. კ. უცოდინარობა.** საქართველოს გასაბჭოებამდე პროფკავშირებში წევრების 40 პროც. იყო წ.-კ. უცოდინარი, ამ ჟამად კი არის 3 პროც.

— **საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები.** ამ ჟამად მთელ საქართველოში ითვლება 600-ზე მეტი საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტი.

— **კონზაჭესის ხარჯთაღრიცხვა** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით გატარებული იქნება აღმასკომის ბიუჯეტში.

— **ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ კომისიას** თბ. აღმასკომმა გადასცა 3000 მან.

— **მეფუტკრეობის გასაძლიერებლად** მაზრაში თბ. აღმასკომმა გადასდო 5000 მან.

— **თბილის-მოსკოვს შორის** დეპეშების გადაცემ-გადმოცემის შეფერხების თავიდან ასაცდენათ და დასაჩქარებლად შეიცვალა ძველი აპარატები ახლებით და გაწმენდილ იქნა ხაზი.

— **თბილის-სპარსეთს შორის** სადეპეშო კავშირის გასაბმელად, თბილის-თეირანს შორის აღდგენილი იქნა კავშირი.

— **შინამრეწველობის სადგური.** მიწად.-მოქ. სახ. კომისარიატი სიღნაღში ხსნის შინამრეწველობის სადგურს.

— **ტყის მოშენება.** მიწად-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ ყარაიაზის რაიონში მოაშენა ტყე 12 ნახევარ დესეტინა მიწაზე.

— **შემოდგომაზე** ბაქოში დოღში მონაწილეობის მისაღებად საქ. ცხენთა საჯიშოების განყოფილება გზავნის თავის ცხენებს.

— **ინვალიდების არტელების** გამოკვლევა. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი შეუდგა ინვალიდების არტელების გამოკვლევას ადგილებზე.

— **ოსიაურის საშრატე სადგურის** საჭიროებისათვის მომავალ წელში მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა გადასდო 32,000 მან.

— **სატელეგრაფო ხაზების შესაკეთებლად** ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა მიმდინარე წელში დახარჯა 47,724 მან.

— **საალმშენებლო სკოლის გასახსნელად** საალმშენებლო მუშათა კავშირს თბ. აღმასკომმა გადასცა 500 მან.

— **თბ. მაზრის სასოფლო-სამეურნეო ცნობარის** გამოსაცემად 25-26 წ. ხარჯთაღრიცხვით თბ. აღმასკომმა გადასდო 3509 მან.

— **ნაძალადევში მუშათა სახლის აგებად** თბ. აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა დასდოს ხელშეკრულება საზ-ბა „სამშენ“-თან.

— **ლანირ-ქვიტირის** სკოლის საალმშენებლო კომისიას თბ. აღმასკომმა გადასცა 500 მან.

ახალი წიგნები

— გამოვიდა: „არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“ შვიდწლიანი შრომის სკოლის მე-5 ჯგუფისათვის. შედგენილი ა. ხარაბაძის მიერ.

„მათემატიკის ტერმინები“ სპეციალისტ მათემატიკოსების მიერ შედგენილი და „ცენტრ. სატერმინოლოგიო კომიტეტის“ მიერ დამუშავებული.

„სკოლის ჰასაკამდე აღზრდა და თანადროულობა“ რ. პრუშიცკაიასი, თარგმნილი რუსულიდან.

შემთხვევები

— **თავდასხმა.** 19 აგვისტოს „წითელ დუქანთან“ მოქ. ვანო ზაქიძეს და მის ორ ამხანაგს თავს დაესხნენ ავაზაკები, წაართვეს ფული, [illegible] და მიიმალნენ.

— **დაჭრა.** 23 აგვისტოს მე-12 უბანში მოქ. ბაბო ქალიშ ხალილოღლმა მძიმედ დასჭრა მოქ. ხასანბეკოვი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 20 აგვისტოს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შეიპყრეს ორი ჯიბგირი, სამსონ ტაროსიანცი და ამბარცუმ პეტროსიანცი.

— **სახელოსნოს გაქურდვა.** 23 აგვისტოს ახალ-ბაზარში გაქურდეს მოქ. ჰარმენ მარგველაშვილის სახელოსნო.

— **დახვედრა.** 22 აგვისტოს საღამოს კახეთის ქუჩაზე ელენე კოშკაროვას დახვდა ვინმე პოტაევი და წაართვა ოქროს სამაჯური და ფული. დამხვდომი შეიპყრეს.

— **მეთევზეებმა** 22 აგვისტოს მტკვარში ბანაობის დროს გადაარჩინეს დახრჩობისაგან მცირეწლოვანი არჩილ სულაძე.

დაჭრა. 22 აგვისტოს მეორე უბანში მოქ. შალვა გაჩეჩილაძემ სიმთვრალის დროს დანით დასჭრა დომენტი გელესიანი.

— **ქურდობა.** 23 აგვისტოს 19 თებერვლის ქ. № 17 მოქ. სიროპ ფრანგულიანცს მოპარეს 400 მანეთის ნივთები. ქურდი ადამიანცი შეპყრობილია.

— **ამავე დღეს** ანდრეევის ქ. № 3 მოქ. ალი ზადე ოღლის მოპარეს ნაგანი და ორი რევოლვერი.

ტირაჟი—20.143

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, [illegible] ქ. № 4